# საქართველო

საქართველოს დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის ორგანო.

**რედაქცია და კონტორა:**
თბილისი, რუსთაველის პროს. № 11. რედაქცია და კონტორა ღიაა ყოველ დღე დილის 9 ს. ნაშუადღევის 2 და ნახ. საათამდის. ტელეფონი № 15—73.
მისამართი დეპეშებისათვის: თბილისი, „საქართველო“. ფოსტის ყუთი № 76

**განცხადებანი:**
განცხადება მიიღება ნაშუადღევის 2 საათამდის. სტრიქონი პეტიტი პირველ გვერდზე 25 მ., მე-4 გვერდზე—20 მ.
სამგლოვიარო განცხადებანი 30 სტრიქონი—1000 მ. 2 ნახ. საათის შემდეგ 300 მანეთით მეტი.

**ხელის მოწერა:**
გაზეთი „საქართველო“ ქალაქსა და ქალაქს გარეთ ღირს თვეში—800 მან. ცალკე №—50 მ.ნ.

ფასი 50 მან.

წელიწადი მეშვიდე. სამშაბათი, თებერვლის 15. 1921 წ. № 345

## სახელმწიფო დრამის თეატრი

დღეს, თებერვლის 15-ს — მეორედ

### სამშობლო

ხუთშაბათს, თებერვლის 17-ს — პირველად სეზონში

### ვინ არის დამნაშავე?

შაბათს, თებერვლის 19-ს — მეცხრედ

### სამშობლო

სამშაბათს თებერვლის 20-ს — მესამედ

რაც გინახავს, ვეღარ ნახავ

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ბილეთები კასაში.

## სახელმწიფო დრამის თეატრი

ხუთშაბათს, თებერვლის 17-ს პირველად სეზონში

### ვინ არის დამნაშავე?

ნ. ნაკაშიძისა.

ახალი დეკორაციები ვალ. სიდამონ-ერისთავისა.
რეჟისორი ალ. წუწუნავა.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ბილეთები კასაში.

ქართველ მსახიობთა საპროფესიო კავშირის საგანგებო

## კრება

დანიშნულია 1921 წელს თებერვლის 20-ს. ქართული დრამის თეატრში დილის 12 საათზე. საკმაო წევრთა გამოუცხადებლობის გამო კრება გადაიდება პირველ საათისათვის და კანონიერი იქნება, რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს.

დღის წესრიგი: საბჭოსა და სარევიზიო კომისიის არჩევანი და მიმდინარე საკითხები.

სახელმწ. თეატრი

## ოპერა

სამშაბათს, 15 თებერვალს,
„კოპელია“
მორდკინის მონაწილეობით.
ოთხშაბათს, 14 თებერვალს,
„ფაუსტი“
ხუთშაბათს, 17 თებერვალს,
„რიგოლეტო“
პარასკევს, 18 თებერვალს,
„აბესალომ და ეთერი“
დასაწყისი 8 საათზე.

რესპ. ომში დაჭრილ-დასახიჩრებულთა კავშირის მიერ შედგენილი გამოვა ა. წ. 10 თებერვლამდე

## წლიური კედლის კალენდარი

სუფთად და ფართო სქელ ქაღალდზე დამზადებული და დასურათებული ომში დაჭრილ-დასახიჩრებულთა ● ✦ ● ცხოვრების ეპიზოდებით ● ✦ ●

დაკვეთა შეიძლება კავშირის ბინაზე პლეხანოვის პროსპექტი, № 139.

გამგეობა.

საქართველოს დემოკრატიული პარტიის.

## საარჩევნო ბიუროები

### ცენტრალური საარჩევნო ბიურო

მოთავსებულია გაზ. „საქართველო“-ს რედაქციის ბინაში, რუსთაველის პროსპ., 11 ტელ. 15—73. ბიურო ღიაა დილის 10 საათიდან დღის 3 საათამდე და საღამოს 6 დან 10—მდე.

### საუბნო ბიუროები:

1 კომისარიატის ბიურო მოთავსებულია ოლღას ქ. 52 (სკოლაში).
2 „ დამფუძნებელი კრ. ქ. 5 მთავარი კომიტეტის ბინა.
3 „ ლერმონტოვის ქ. 14 ტელ. 17—96.
4 „ ანჩისხატის ქ. 5.
მე-5 კომისარიატში. დემ. პარტიის საარჩევნო ბიურო მოთავსებულია წმ. ნიკოლოზის ეკლესიის ეზოში, ივანე ქავჟარაძესთან.
6 „ მამუკას მოედანი 11.
8 „ ნიკოლოზის ქ. 22 ტელ. 17—98.
9 „ ტურგენევის ქ. 4.
10 „ მეორე ქართული კლუბი—პლეხანოვის პროსპექტი. 129
11 „ პარკის ქ. 33.
12 „ მეორე ქართული კლუბი პლეხან. პროსპ. 129

რესპ. ომში დაჭრილ-დასახიჩრებულთა კავშირის გამგეობა ახდენს რესპუბლიკაში ომში

## დაჭრილ-დასახიჩრებულთა სრულ აღწერას.

## რისთვისაც საჭიროა

## ინსტრუქტორები

## ყველა მაზრებისთვის, გარდა ზუგდიდისა

ჯამაგირი მიეცემათ თვეურად 40.000 მან. წარმოდგენილი უნდა იქნას სიმედოების საბუთები პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებიდან. ინსტრუქტორი უნდა იყოს იმ მაზრის მცხოვრები, რომელშიც მუშაობას იკისრებს. ცნობების მიღება სწარმოებს ყოველ დღე ქ. თბილისში, პლეხანოვის პროსპ. № 139 სამხედრო სასწავლებლის პირდაპირ.

გამგეობა.

## ტფილისის სახელმწ. კონსერვატორია

კვირას, 20 თებერვალს

## ბენეფისი

## ი. თ. რონინიშვილისა

მონაწილეობას იღებენ საუკეთესო არტისტული ძალები. ბილეთები იყიდება წინდაწინვე ფრანგულ ლიცეუმში და კონსერვატორიაში; დაწვრილებით აფიშებში. დასაწყისი სალ. 8 საათზე

## მალე გაიხსნება მალე

**კინო მინიონი პალასი.**

სამხატვრო ცენტრის დირექცია ამით აცხადებს, რომ თეატრის „მინიონის“ ხელმძღვანელად მოწვეულია თბილისისთვის ცნობილი კინემატოგრაფების სპეციალისტი, შეძენილია მთელი რიგი მხატვრულ კინო-დრამების, რომელიც არჩეული არის სამხატვრო ცენტრის სასტიკი კონტროლის ქვეშ, რომლის მიზანია აჩვენოს მხოლოდ მხატვრული სურათები. მუსიკალური ილიუსტრაციისთვის მოწვეულ არიან გამოცდილი მუსიკოსები-თავისუფალი მხატვრები.

დაწვრილებით აფიშებში.

თბილისის ქალაქის გამგეობის

## განცხადება

1921 წ. ჯარში მორიგ გასაწვევ სიებში შესატან ახალგაზრდა მოქალაქეთა საყურადღებოდ.

ქ. თბილისის მკვიდრი მცხოვრებნი საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქენი, გარდა მაჰმადიანებისა, დაბადებულნი 1901 წელში, რომლებიც უნდა იქმნენ ჯარში გაწვეულნი 1921 წ. 15 ნოემბრიდან, მოვალენი არიან ამა წლის 1 მარტამდინ გამოცხადდენ იმ უბნის კომისარიატში, სადაც ისინი მუდმივ ცხოვრობენ, გასაწვევ სიებში ჩასაწერათ და თან უნდა წარუდგინონ წერილობითი განცხადებასთან ერთად თავისი დაბადების და აგრეთვე მამის და ძმების დაბადების მეტრიკული მოწმობები: წერილობითი განცხადებაში უნდა იყოს მოხსენებული ნამდვილი ცნობები ოჯახის შემადგენლობისა (ვინა ჰყავს, მამა ან მამინაცვალი, დედა ან დედინაცვალი, ყველა ძმები განურჩევლად იმისა სცხოვრობენ მამის ოჯახში, თუ ცალკე, ან თუ უკვალოთ არიან დაკარგულნი, დები, პაპა და ბებია). მამისა და ძმების წლოვანება უნდა იყოს აღნიშნული დაწვრილებით (წელიწადი, თვე და რიცხვი დაბადებისა).

თბილისის უბნების გასაწვევ სიებში შეიძლება შეტანილ იქმნენ რესპუბლიკის სხვა მაზრების და ქალაქების მხოლოდ და მხოლოდ ის ახალგაზრდა მოქალაქენი, დაბადებულნი 1901 წელში, რომლებიც წერილობითი განცხადებასთან ერთად ამა წლის 1 მარტამდინ წარუდგენენ უბნის კომისარიატს მოწმობას იმის შესახებ, რომ ისინი თავის სამსახურის, ან ხელობის მიხედვით სცხოვრობენ ქ. თბილისში არა ნაკლებ სამი თვისა.

**თბილისის ქალაქის გამგეობა**

თებერვალი 1921 წ.

## განცხადება

შორაპნის მაზრაში, დაბა მირულაში ამა წლის თებერვლის 15-ს გაიხსნა საქალაქთაშორისო ტელეფონის სადგური, რომელსაც ექნება ტელეფონით კავშირი რესპუბლიკის ყველა იმ ქალაქებთან, სადაც არსებობს საქალაქთაშორისო ტელეფონის სადგური და იმავე მაზრაში არსებულ სამაზრო ტელეფონის ქსელის აბონენტებთან (სამაზრო ერობა, თემები და კერძო ბინები).

საქალაქთაშორისო ტელეფონის ქსელის უფროსი ვარლამოვი.

დაიკარგა

პირადობის მოწმობა სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცელარიიდან ნიკოლოზ მიხ.-ძე წულუკიძის სახელზე გაცემული მოწმობა. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4—უ—2

მხოლოდ ამერიკული „რეზუროლინ“ პროფესორის

ე. ვაგნერისა საზოგადოება „ალიანს“

## ქართულ-ფრანგული სავაჭრო პალატა

აცხადებს თავის წევრთა საყურადღებოდ, რომ 1921 წ. საერთო [illegible] უნდა შესრულებული იქნება [illegible] ამა წლის თებერვლის 25-ს. საფრანგეთთან ეკონომიურ და კომერციულ დამოკიდებულებაში დაინტერესებულ წევრთა მიღება გრძელდება.

ახალი წევრებისა და [illegible] მიღება სწარმოებს ყოველდღე პალატის მდივანთან 12 საათიდან დღის 2 საათამდე.

გამგეობა.

3481. 2—1

## კოოპერატივ „დახმარება“-ს

წევრთ, რომელთაც პაი შეავსეს 1000 მანეთამდე

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| შეუძლიანთ მიიღონ: | | | ✖ ხახვი | გირ. | 35 „ |
| ქართოფილი ახალციხის | გირ. | 35 მან. | ✦ ყველი | „ | 50 „ |
| ჩაი ცეილონისა | „ | 900 „ | ✖ სანთელი | „ | 700 „ |
| კაკაო ინგლისური | „ | 700 „ | ✦ სარეცხი საპონი | „ | 200 „ |
| ზეთი მზეჭვრიტასი | „ | 650 „ | ✖ ლობიო | „ | 90 „ |
| მარილი | „ | 35 „ | ✦ | | |

და აგრეთვე ფეხსაცმელის მაზი უფლაკონოთ 100 მანეთი, ნახშირი 2 ფუთამდის—ფუთი 1000 მანეთი, ხელის საპონი საზღვარ გარეთისა, ჩაის ჭიქა 350 მ. და სხვა და სხვა საქონელი. გრძელდება ახალი წევრების მიღება. კონტორა იმყოფება კოოპერატივის № 2 მაღაზიაში თავის. მოედ. თამამშევის ქარვასლაში.

გამგეობა.

## ფრანგული ენის გაკვეთილებს

იძლევა

სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი ქ-ნი [illegible] ორბელიანი

ცნობების მიღება შეიძლება ფრანგული გაზეთის რედაქციაში, წყნეთის ქუჩა № 11, 11 დან—3 საათამდე, ყოველ დღე კვირა დღის გარდა.

3487. 34—1.

## განცხადება

### მეხილე-მებაღეთა ყრილობა

თანახმად სამეურნეო პალატის დადგენილებისა, გადაიდო და მოხდება 4-5 მარტს.

1—3488—1

# რუს-სომხების შემოტევა ბორჩალოში

## წითელი სომხეთის შემოტევა

საქართველოს სამხრეთ სანაპიროებზე შექმნილი მდგომარეობა მოსალოდნელი იყო. ჩვენს და სომხეთს შორის დავა ამა თუ იმ სახით აუცილებლივ უნდა დაწყებულიყო. მართალია, სომხეთის რეგულიარული ჯარი ამ შემთხვევაშიც ისე მოიქცა, როგორც მას შეეფერება, მართალია, ის ჩუმად, ქურდულად და ომის წესების ელემენტარული მოთხოვნილების წინაამდეგ, შემოიპარა სახელმწიფოს საზღვრებში და ლაჩრულად დაეცა საქართველოს მოუმზადებელ ჯარს, მაგრამ ესოდენი ხნის მაგალითებს უნდა ჩაეგონებიათ ჩვენთვის, რომ ბოლშევიკებისაგან საზოგადოთ მუდამ მოსალოდნელია ასეთი მუხანათური და დიაცური თავდასხმა.

ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც სომხის ხინვორებმა დაშნაკური ქურქი ბოლშევიკური წითელი მანტიით შეიცვალეს და მოსკოვის მამამთავრის, ლენინისაგან ამბორი აიღეს, სომხეთის ბოლშევიკურმა ეხლად წოდებულ მთავრობამ პროტესტი შემოუთვალა საქართველოს იმის გამო, რომ საქართველოს მთავრობის ბრძანებით შეიარაღებული ძალების მიერ დაჭერილ იქმნა საქართველოს უდავო ტერიტორია ბეზობდალის მიმართულებით.

ამ აქტის მოხდენა საქართველოს მმართველობამ საჭიროდ დაინახა მას შემდეგ, როდესაც ანგორის დიდი ეროვნული ყრილობის ჯარებმა მიაღწიეს სომხეთს, დაიპყრეს მისი ტერიტორიის უმეტესი ნაწილი, ხელთ იგდეს მისი ყველა ციხე სიმაგრენი და მიიწევდნენ ჩრდილოეთისაკენ. საქმე რომ გვქონოდა სომხეთის ჯართან, ჩვენ შეგვეძლო კრწანისზედაც დაგვეჩერებინა ჩვენი ნაწილები, მაგრამ იმ დროს ძლევამოსილად მომავალი ანგორის ჯარი ერთობ დიდ საშიშროებას წარმოადგენდა საქართველოს მყუდროებისთვის, მით უმეტეს, რომ მაშინ მისი სახე ჯერ გამოუცნობი იყო საქართველოსათვის, რომლისთვისაც ხშირად ბედს „სურპრიზები" სწორედ იმ მხრიდან მიუძღვნია, საიდანაც ის სრულებით არ ელოდა. საქართველოს მთავრობა იმ დრომდის ასე ვსთქვათ უ[illegible]იგდებოდა მისი განუკვეთელი ნაწილის, ბორჩალოს მაზრის სამხრეთ რაიონის ნეიტრალურ ზონად გამოცხადებას, მაგრამ ჩვენი მთავრობა მიუტევებელ დანაშაულობას ჩაიდენდა თავის ქვეყნისა და ხალხის წინაშე [illegible] ჯეროვან ღონისძიების მიუ[illegible] აქტიურად საქმეში ჩაურე[illegible] საშუალებას მისცემდა უცხო ძა[illegible] ისედაც გაძვალტყავებულ მხარეში.

ჩვენთვის აშკარა იყო თავიდანვე რომ [illegible] სომხეთიც არ დაჰყაბულ[illegible] პროტესტით და შეეცდებოდა თავისი პრეტენზიების სისრულეში მოყვანას ჯერჯერობით ბორჩალოს მაზრაში და გარემოებისა და ბედის მიხედვით აგრეთვე საქართველოს სხვა [illegible].

მას შემდეგ, რაც გამოირკვა სომხეთის [illegible] ოსმალეთის ჩრდილო აღმოსავლეთ ვილაიეთე[illegible] პირი[illegible] კომპენსაციის მიღებას. ამიერიდან [illegible] თითქოს ხელს უწყობენ სომხეთს: მას ჰპირდებიან რუსეთი და რუსული აზერბეიჯანი, რომლებიც ამავე დროს მრავალ საკითხების გამო სწორედ საქართველოს ედავებიან. გადაჭრით შეიძლება [illegible] სომხეთი [illegible] სამხედრო [illegible] ლების შემდეგ შეფ[illegible]ქრიანდებოდა, [illegible] წინააღმდეგ, თუ მას მოსკოვის იმედი არ ასულდგმულებდეს და ამხნევებდეს, [illegible] ჩვენს წინააღმდეგ ამხედრდა სომხეთი, მაგრამ ფაქტიურად საქართველოს ჯარს საქმე ექნება რუსეთის [illegible] როგორც გასულ [illegible] აზერბაიჯანთან [illegible] რუსეთმა [illegible] საქართველოს აზერბაიჯანის [illegible] რუსეთის [illegible] სომხეთის რევკომს.

[illegible] დაწყებულ ომს საქართველო [illegible] სიმტკიცით და ენერგიით იწყებს და, [illegible] ჩვენს ლაშქარს გამარჯვების გვირგვინი ჰხვდება წილად. ქართველი ხალხი [illegible] აღიმართება დამოუკიდებლობის [illegible] საკუთარი მიწა-წყლის დასაცავად, რად[illegible] საქართველოს [illegible] განვითარებული [illegible] რომელმაც [illegible] ჩაგვრა [illegible] სუვერენულ სახელმწიფოთა შორის, როგორც მათი სრულუფლებიანი თანასწორი. ჩვენ თანაგვიგრძნობს მთელი ქვეყანა, ჩვენსკენ არიან ყველანი, ვინც კი დარწმუნდა მთელი წყება ფაქტებით [illegible], რომ [illegible] ქართველი უმწიკვლოდ ასრულებდა კეთილ მეზობლობის და ნორმალ ურთიერთობის [illegible] მთელი იმ ხნის განმავლობაში, როდესაც ჯერ რუსეთის ეშელონები კალიასავით იყრებოდნენ ოსმალეთის ფრონტიდან და აფეთქებას უპირებდნენ მთელს ამიერ-კავკასიას და როდესაც შემდგომ დამოუკიდებელი სახელმწიფონი ამიერ-კავკასიაში ერთი მეორეს განადგურებით ემუქრებოდნენ, ყოველთვის საქართველო გამოდიოდა შუამავლად და სათნოების მქადაგებლად, ყოველთვის ჩვენი ხალხი არიგებდა მტრებს და მშვიდობიან საშუალებას უჩვენებდა მათ უთანხმოების მოსასპობად.

მეტისმეტად მოუსვენარი და უკულტურო ხალხი გვახვევია სახელმწიფო საზღვრებზე! მუდამ შურითა და გაუტანლობით აღსავსენი, ჩვენი მეზობლები ახირებულ პრეტენზიებს გვიდგენენ და მოითხოვენ ჩვენგან იმის გაცემას, რისი დათმობა საქართველოს სახელმწიფოს შეუძლიან, თუ წინდაწინვე უარს განაცხადებს თავის პოლიტიკურ დამოუკიდებლობის შენარჩუნებაზე! მრავალ საუკუნეთა განმავლობაში ბუნებრივად ამოიხაზა და სახელმწიფოებრივად ჩამოყალიბდა ჩვენი სამშობლო.

ჩვენს სახელმწიფოში ჩამწყვდეული მიწა-წყალი შეკავშირებულია გეოგრაფიულადაც, ეკონომიურადაც, ისტორიულადაც და, თუ გნებავთ, სტრატეგიულადაც, ამ ჩარჩოებს არ გადასცილდება საქართველოს პრეტენზიები, მაგრამ არც იმის ნებას მისცემს ვისმე, რომ ხელოვნური კალაპოტით შესწიონ მისი საზღვრები. ამ მხრით საქართველოს ხალხის აზრი საბოლოო და კატეგორიულია. დათმობა და კომპრომისი აქ შეუძლებელია.

დღევანდელი ომის შინაარსი ქართველი ხალხისათვის გამოწვეულია სავსებით. საქართველო-სომხეთის ომმა ეხლა უნდა გადასჭრას ის საკითხი, რომელიც წარსულ ომის შემდეგაც გადუჭრელი დარჩა.

დღეს ბოლშევიკური სომხეთი იმავე მეთოდით აპირებს თავისი განზრახვების განხორციელებას, როგორითაც ლამობდა სომხეთი დაშნაკური. მაშინ დაშნაკებმა მიიშველიეს სომხეთში იმ დროს მყოფი რუსის ოფიცრები და სალდათები, დღეს სომხებს ეშველებიან რუსეთიდან საგანგებოდ ჩამოსული წითელი არმიელები, რომელთა შემწეობით სომხეთი ჯერ უნდა განთავისუფლებულიყო ქემალ-ფაშას მძიმე „ოპეკისაგან" და შემდეგ აღესრულებინა თავისი სახელმწიფოებრივი პრეტენზიები საქართველოს ხარჯით.

საქართველოს ჯარი დღეს იბრძვის იმ ტერიტორიისათვის, რომელსაც გვედავება სომხეთი. ჩვენს სარდლობას, ვფიქრობთ, გათვალისწინებული ექნებათ ის გარემოება, რომ იმ ხაზზე ჯარი იცავს არა მარტო საქართველოს უდავო ტერიტორიას, არამედ მთელს სახელმწიფოს და მის სატახტო ქალაქს თავდაპირველად. ასეთია ბეზობდალის სტრატეგიული მნიშვნელობა. ამ უღელტეხილს ვერ დაუთმობთ მტერს! ეს არის გალავანი, რომელიც სამართლიანად უნდა ჩაითვალოს თბილისის პირველ ფორტად. აქ გაკაჟებული უნდა იდგეს საქართველოს მხედრობა...

ეხლა უკვე დადგა ხანა, როდესაც ჩვენ შეგვიძლიან გაუგებრობით შემოფანტულ მიწა-წყლის მოგროვებაზე ზრუნვა. საქართველო არის იურიდიულად ცნობილი სახელმწიფო. ჩვენი სახელმწიფოებრიობა უკანასკნელ ხანამდე იყო ფაქტი. ევროპამ ეს ფაქტი დაადასტურა, მისცა მას იურიდიული ძალა, ფორმალური განსახვა. ამის შემდგომ ჩვენ გვართებს მოვაქციოთ ჩვენს სახელმწიფოებრივ ბრძანებლობაში საქართველოს უხსოვარ დროიდან კუთვნილი მისი განუყრელი მიწა-წყალი და ეს პროცესი უნდა დამთავრდეს გადაუდებლად და ყოველივე მიზეზის გარეშე. ეს ფაქტიც წარსდგება ევროპის წინაშე, როგორც ქართველი ერის გარდუვალი ნების ყოფა და მასაც, რასაკვირველია, მიეცემა იურიდიული განსახიერება.

ბამბაკმა უნდა წარმოშვას იდეა ხოქათ.ოლქ. შემოერთებისა და ამით დასრულებულად ჩაითვლება საქართველოს ტერიტორიული მისახწევარის მინიმუმი.

ჩვენ გვინდა იმედი გამოვსთქვათ, რომ მთავრობა ეხლა მაინც ისარგებლებს საქართველოს მამაცი და პატრიოტული მხედრობის ძლევამოსილი შეტევით და მის სვლასა და გმირულ მოქმედებას არ შეაჩერებს წარსულისამებრ.

აღარ შეიძლება გაურკვეველი მდგომარეობის გაგრძება. ეს მეტის მეტად ძვირად უჯდება საქართველოს. ის, რაც გასაკეთებელი იყო აქამდის, ეხლა მაინც უნდა შესრულდეს.

დაუდგრომელ მეზობლებს ვუჩვენოთ მათი ადგილი და ისინი ამით უნდა დაკმაყოფილდნენ კიდეც. აზერბაიჯან—სომხეთის დაუშრეტელი მადის მიხედვით ჩვენ ვერ ამოვხაზავთ საქართველოს მიწა-წყალს..

ბრძოლის ველზე მიმავალ თავდადებულ ქართველმა ჯარმა ეხლა მაინც უნდა იგრძნოს, რომ მისი ძლევამოსილება მუქთად არ ჩაითვლის და ორჭოფ დიპლომატიას არ შეეწირება.

და ჯარის ეს რწმენა საქართველოს მესვეურებსაც გადაეცემა. აბეზარ მტრის მიერ დაწყებული ცუღლუტური თავდასხმა მისივე შერცხვენით დასრულდება.

საქართველო ძალით ჩათრეულია ამ ომში და ისევე გამარჯვებული გამოვა, როგორც წინად.

რ. ინგილო



## ბრძოლის ასპარეზი.

სომხეთ-საქართველოს ბრძოლის ასპარეზი გზების რკალით არის შემოხაზული. თბილისიდან რომ გაჰყვეთ ამ რკალს დასავლეთისკენ, ისევ თბილისში დაბრუნდებით აღმოსავლეთით. ეს გზა თბილისიდან მიდის ბორჯომ ახალქალაქზე, იქედან ჩავა გუმბრში (ალექსანდროპოლი), მოუხვევს აღმოსავლეთისკენ, გაივლის ბეზობდალისა და ბამბაკის ქედების შორის, გავა ყარაქლისზე, დელიჟანზე და იქედან ყაზახით ისევ თბილისში ამოვა.

[illegible] ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ [illegible] გზით არის გადასერილი: ერთი [illegible] მიდის თბილისიდან [illegible] წყალი) ხეობით, გადაივლის ბეზობდალის ქედს სად. შაგალისთან, აქედან [illegible] და ჩავა გუმბრში. მეორე [illegible] უფრო მნიშვნელოვანი—თბილისიდან მიდის ეკატერინენფელდზე, [illegible] ხეობით გადავა ლორეში (დუშეთისი, ვორონცოვკა, ჯალალოღლი), გადავა ბეზობდალს და აქედან [illegible] რკინის გზის გაყოლებით ჩავა გუმბრში, ხოლო მესამე სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ მოუხვევს და ყარაქლისიდან დელიჟანით გავა ყაზახში, რომლის ნახევარი სომხეთს უჭირავს. ამ ორი გზიდან თითო გზა [illegible] დასავლეთით და ჩავა ერევანში. ერთი გზა მიდის რკინის გზის სადგურ [illegible] ხოლო მეორე გზა იწყება დელიჟანში, მოუვლის გოქჩის ტბის ჩრდილო დასავლეთ კუთხეს და ეგრეც ერევანში ჩავა.

გზების რკალი, ზევით რომ მოვიხსენიეთ, დღევანდელ პირობებში, სამხედრო საოპერაციო თვალსაზრისით რკალად აღარ ჩაითვლება, რადგან აღმოსავლეთით მას ჩამოჭრილი აქვს ყაზახის მაზრა, რომლის ნახევარი აზერბაიჯანის ხელშია, ხოლო დასავლეთით—ახალქალაქის გზით ჩამოკვეთილი აქვს გუმბრის რაიონი, რომელიც უჭირავს ოსმალეთს. მაშასადამე, საოპერაციო მიმართულებანი სომხეთ-საქართველოს დღევანდელის ომისა განსაზღვრულია ზემოაღწერილი გზატკეცილით, რკინის გზით და იმ სამიოდე ბილიკ.საურმე გზით, რომელნიც ბორჩალოდან და ლორიდან გადადიან ერივნისკენ ვიწრო სექტორით—ბეზობდალის მთიდან სოფ. შინიხამდის, რომელიც მდებარეობს დებედას მარჯვენა ნაპირზე სად. სადახლოსა და ახტალას შუა.

ეს ვიწრო ასპარეზი ბრძოლის ველისა დასერილია სამი ქედით, რომელიც მიდის ყაზახიდან ჯავახეთ შურაგელისკენ: ლელვარის ქედი, ბეზობდალისა და ბამბაკისა. ლელვარის ქედი და ჩრდილო ფერდობები ბეზობდალისა ჩვენს ჯარს უჭირავს, ხოლო სამხრეთი კალთები ბეზობდალისა და ბამბაკი—სომხეთის ხელშია.

ამ გზებით და ამ უღელტეხილებისთვის იწყება მეორე ომი სომხეთ საქართველოსი. ჯერ-ჯერობით ღერძი დაწყებულ ბრძოლისა ბეზობდალის ქედია რომლის გადასვლით ან გადმოსვლით დაბრუნდება პირველი ეტაპი ომისა.

მიხ. ჯავახიშვილი.

## მიტინგი დამფუძნებელ კრებასთან.

(გვარდიის გაცილების გამო).

სომეხთა რეგულიარულ ჯარების მუხანათურ თავდასხმის ამბავი ჩვენს ჯარის ნაწილებზე, ელვის სისწრაფით მოედო მთელ საქართველოს და მისი დედა ქალაქი პირველად გახადა მოზიარე სამოქმედო გამოსვლაში.

თბილისში დაბანაკებულმა გვარდიის საგანგებო და ვალიკო ჯუღელის რაზმა კვირას თებერვლის 13-ს უკვე გაემგზავრა ბრძოლის ველზე საბრძოლველად.

გამგზავრებისას რაზმმა ნაშუადღევს თავი მოიყარა დამფუძნებელ კრების წინ, სასახლესთან საომრად მოკაზმულმა.

დამფუძნებელ კრების სხდომიდან აივანზე გამოვიდნენ მთავრობის და დამფუძნებელ კრების წევრნი, ხოლო სასახლის წინ რუსთაველის პროსპექტზე და მის არემარე ლაიქირა აუარებელმა ხალხმა, აღშფოთებულმა ამ მოულოდნელ თავდასხმით.

პირველი სიტყვით რაზმს მიმართა დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის უფროსმა ამხანაგმა **ალ. ლომთათიძემ**, რომელმაც თავის აღზნებულ სიტყვაში გაუთვალისწინა რაზმს მომენტის სირთულე და იმედი გამოსთქვა, რომ საქართველოს გვარდია და ლაშქარი შესძლებს მტრის ურდოების შემუსვრას. აღშფოთებული ხალხი ორატორს მქუხარე ტაშით ალაგ ალაგ სიტყვას აწყვეტინებდა და გაიძახოდა: „გაუმარჯოს გვარდიას" „გაუმარჯოს ჯარს" „გაუმარჯოს საქართველოსო".

შემდეგ სიტყვა წარმოსთქვეს: გვარდიის სულის ჩამდგმელმა **ვალიკო ჯუღელმა**, რომელმაც სხვათა შორის აღნიშნა, რომ მტრებს ტყუილად ჰგონიათ, რომ პარტიული დისსონანსები და კინკლაობა შეარყევს მთლიან საქართველოს ძალას, პირიქით, დღეს მამულის თავდაცვის წინაშე ყველა პარტიები ხელი ხელ ჩართულნი გვარდიასა და ჯართან ერთად უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლებს სამშობლოს ნამუსის დასაცავად. სოც.-დემოკრატ. პარტიის მცხოვანმა ლიდერმა **სილიბისტრო ჯიბლაძემ**, გაუთვალისწინა აზღვავებულ მიტინგს თუ როგორი გულის ძგერით ადევნებს თვალყურს ევროპის მთელი დემოკ. საქართველოს და გამოსთქვა იმედი, რომ საქართველოს დემოკრატია გამობრძმედილი აუარებელ ბრძოლებში ღირსეულად გაუმკლავდება ამ მუხანათ მტერსაც.

სამხედრო მინისტრმა **ა. ჭიჭინაძემ** თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ ის მტერი რომელიც ქურდულად შუაღამისას თავს ესხმის ჩვენს ჯარს საშიში არ არის, და მთავრობის სახელით განაცხადა, რომ მიღებულია ყოველივე ზომები მტრისთვის სათანადო პასუხის გასაცემად.

შემდეგ ილაპარაკეს ფრაქციათა წარმომადგენლებმა: დემოკრატიულ პარტიის სახელით **იოს. მაჭავარიანმა**, სოც. ფედერალისტების მხრივ **შ. ალექსი-მესხიშვილმა**, სოც. რევოლიუციონერების მხრივ **ი. გობეჩიამ**. ყველა ორატორები [illegible] პარტიებს გაერთიანებისაკენ მოიწვევდნენ.

ორატორების სიტყვების შუა გვარდიის ორკესტრი ასრულებდა ეროვნულ ჰიმნსა.

დას სრულ, ყველა ორატორებს პასუხი გასცა თვით საგანგებო რაზმის წარმომადგენელმა გვარდიელმა, რომელმაც თავისი სიტყვა დაასრულა შემდეგი სიტყვებით: „საგანგებო რაზმი პირველი მიემგზავრება საგანგებო მისიით და იმედი გვაქვს, საგანგებო გამარჯვებით დავბრუნდებით"... ეს სიტყვები მხურვალე ტაშითა და აღტაცებით „გაუმარჯოს საგანგებო რაზმს" დაჰფარა ხალხმა, ისევე, როგორც წინა სიტყვები წინა ორატორების.

ნაშუადღევის 2 საათზე დასრულდა მიტინგი და საგანგებო რაზმი დაიძრა სასახლიდან სადგურისაკენ მუსიკით. გვარდიელთა ახოვანება, მედიდურობა და იდუმალი მკრთალი ღიმილი სახეზე სიამის შუქსა ჰფენდა აზღვავებულ ხალხზე, რომელიც ტაშით უხვდებოდა გზა და გზა.

## სავალდებულო დადგენილება.

ტფ. გენ. გუბერნატორმა ბ. ჩხიკვიშვილმა გამოსცა შემდეგი სავალდებულო დადგენილება: 1) კრების და მიტინგების ნებადაურთველად გამართვა აკრძალულია. სათანადო ნებართვას მისცემს ქალაქის მილიციის უფროსი ბ. სულაქველიძე. 2) ყოველი პერიოდული გამოცემა (ყოველდღიური და კვირეული) თითო ეგზემპლიარი დაბეჭდვისთანავე უნდა წარდგენილ იქმნეს გენ. გუბერნატორის სამართველოს საქმეთა მმართველთან. 3) ყველა სახლის და ბინის პატრონი ვალდებულ არიან მომსვლელ წამსვლელთა და მდგმურთა რეგისტრაცია მოახდინონ. სათანადო დავთარში არა უგვიანეს 24 საათისა. დავთრებში სრული სისწორით უნდა იქმნას აღნიშნული მისამართი საიდან მოვიდენ და საით წავიდენ.

### არჩევნების გადადება.

რესპუბლიკაში შექმნილ მდგომარეობის გამო მთავრობის 12 ამა თებერვლის დადგენილებით შეჩერებულია რესპუბლიკაში, როგორც საქალაქო აგრეთვე საერობო არჩევნები. არჩევნების დრო ცალკე იქნება გამოცხადებული.

### გენერალური შტაბის ცნობა.

**13 თებერვლის განმავლობაში ჩვენს ჯარებს ბრძოლა ჰქონდათ ვორონცოვკისა და სადახლოს სამხრეთით.**

**წამოყვანილია ტყვეები, რომელნიც ამოწმებენ, რომ ჩვენს წინააღმდეგ მოქმედებენ სომხეთ-რუსეთის საბჭოთა ჯარები.**

**გენერალი ზაქარიაძე.**

ვორონცოვკა მდებარეობს ბეზობდალის შოსეზე, თბილისიდან დაახლოვებით 120 ვერსზე.

**სადახლო მდებარეობს თბილის-ალექსანდროპოლის რკინის გზაზე თბილისიდან 60 ვერსზე.**

## დამფუძნებელ კრებაში

(11 თებერვლის სხდომა).

თავმჯდომარეობს ექვთ. თაყაიშვილი. დამფუძნებელი კრება ისმენს ნ. იმნაიშვილის რიგ გარეშე განცხადებას. იმნაიშვილმა „ახალი სხივის" ჯგუფის სახელით წაიკითხა დეკლარაცია.

სოც.-დემოკრატიული ფრაქციის სახელით **ანანია სალუქვაძე** აკეთებს განცხადებას და აღნიშნავს, რომ სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ „ახალი სხივის" გარშემო შემოკრებილი ჯგუფი გარიცხა ფრაქციიდან და მას შემდეგ აარსებენ ისინი დამოუკიდებელ სოც.-დემოკრატიულ პარტიასო.

**გრ. ვეშაპელი** აღნიშნავს, რომ პრეზიდიუმმა დაარღვია რეგლამენტი, როცა ან. სალუქვაძეს მისცა საკამათო სიტყვაო.

**ი. ბარათაშვილიც** ამბობს, რომ რეგლამენტი დარღვეულიაო და დასძენს, რომ სალუქვაძისათვის სიტყვის მიცემით პრეზიდიუმი დაემორჩილა სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციასო. ამ სიტყვების გამო ბარათაშვილს უყვირეს: „ძირს-ო".

თავმჯდომარის ადგილს იკავებს **ალ. ლომთათიძე** და პრეზიდიუმის სახელით წინადადება შეაქვს ბარათაშვილის ორი სხდომიდან გაძევების შესახებ, პრეზიდიუმის შეურაცხყოფისათვის.

დეპ. ბარათაშვილის განმარტების შემდეგ პრეზიდიუმის წინადადებით დამფუძნებელი კრება ხმის უმრავლესობით ერთი სხდომიდან აძევებს ბარათაშვილს.

დასასრულ მიღებულ იქნა სხვა და სხვა დეკრეტები და ამნისტიის პროექტი საქართველოს იურიდიულად ცნობის აღსანიშნავად.

# დეპეშები

## რუსეთის ცნობები.

### სათბობი მასალა.

მოსკოვი. 13 11. მთავარი ყურადღება ჩვენ შეშის დამზადებას უნდა მივაქციოთ, საჭიროა 11 მილიონ კუბ. საჟენის შეშის დამზადება განსაკუთრებულ მძიმე მდგომარეობაში იმყოფება—პეტროგრადი, სადაც მთავარი საწარმოო დაწესებულებები სათბობ მასალის უქონლობის გამო შეჩერდენ. ეს დროული მოვლენა არის. მიღებულია სათანადო ზომები, რომლებიც მოგვცემენ საშუალებას მუშაობის და წყების შესაძლებლობისას, დიდ დახმარებას გაგვიწევს ნავთი, რომელიც საკმაოდ არის მომარაგებული. ნაოსნობის დაწყებისას მთელი ფლოტი ნავთის გამოტანას მოხმარდება. აპრილში შესაძლებელი გახდება წყლით იმდენი ნავთის მოტანა, რომელიც გააადვილებს რკინის გზის მოძრაობას. ამის გამო კავკასიაში იგზავნება საგანგებო რწმუნებული, რომელმაც უნდა ადევნოს თვალყური იმ ორგანოთა მოქმედებას, რომლებიც განაგებენ ნავთის პროდუქტების ჩრდილოეთ კავკასიიდან რუსეთში გადმოზიდვას.

### სათესლეს მომარაგება.

— მრავალ რიცხოვან ფრონტს კიდევ ერთი ფრონტი მოემატა. საჭიროა გლეხებისათვის დახმარების აღმოჩენა. ამისათვის ჩვენ არავითარი ძალღონე არ უნდა დავიშუროთ. გლეხთათვის ყოველგვარ დახმარების აღმოჩენის მომწყობის როლში უნდა გამოვიდეს თვით სახელმწიფო. უმთავრესად ამჟამად სოფელს სჭირია დახმარება სათესლის მიწოდებით და სურსათ სანოვაგით. სახელმწიფოს რომ ჰქონდეს მომარაგებული ხორბლის საკმაო რაოდენობა იგი შესძლებდა თავის დროზე მიეტანა ხორბალი იმ ადგილებში, რომლებიც ამას საჭიროებენ. მაგრამ სახელმწიფოს არა აქვს სათესი ხორბლის დიდი მარაგი, ამიტომ მას არ შეუძლია დააკმაყოფილოს სოფლის მოთხოვნილება. საზღვარგარეთიდან შემოტანილ და აგრეთვე სახელმწიფოს შიგნით დამზადებულ მარაგიდან სახელმწიფოს შეუძლია მისცეს გლეხობას სულ ცოტა რამ.

## ფრანგული ცნობები.

### აინტაბას აღება

ლონდონი 13. 11. სამხედრო მინისტრმა აღმოსავლეთში მომქმედ საფრანგეთის ჯარს ქალაქ აინტაბას აღების გამო მისალოცი დეპეშა გაუგზავნა.

### ერთა ლიგაში.

ერთა ლიგის საბჭოს სხდომა შესდგება პარიზში თებერვლის 21.

## გერმანული ცნობები.

### ბავარია და ბერლინი.

ბავარიის მთავრობამ შემდეგი ნოტით მიმართა ბერლინის მთავრობას: ბავარიის მთავრობა და კოალიციური პარტიები ემხრობიან იმ თვალსაზრისს, რომელსაც ისინი აქამდე აღიარებდენ და თავდაცვის ორგანიზაციების არსებობას სიინი სამშობლოს სასიცოცხლო ინტერესებათ სთვლიან, ამიტომ მოითხოვენ უარყონ პარიზის მოთხოვნილება არა მარტო ანაზღაურების შესახებ, არამედ განიარაღების შესახებაც. მთავრობა და პარტიები, რომელთაც გაიგეს ბერლინის გადაწყვეტილება, მთელ პასუხისმგებლობას საიმპერიო მთავრობას აკისრებენ. ბავარიის მთავრობა ხელმძღვანელობდა რა სახელმწიფოებრივ ინტერესებით, იგი სცდილობდა განემტკიცებია საიმპერიო მთავრობის პოზიცია მოკავშირეთა მოთხოვნილებების წინაამდეგ.!! დაბრკოლებები, რომელიც ბავარიელების მოქმედებამ გამოიწვია, უკვე თავიდან არის აცილებული..(გამოტოვებულია)

# ქრონიკა

— **პოლონეთი და საქართველო.** საგარეო საქმეთა მინისტრმა ბატონმა ევგენი გეგეჭკორმა რადიო ტელეგრამით აცნობა მთავრობის თავმჯდომარეს, რომ 28 იანვარს პოლონეთის მთავრობამ იცნო საქართველოს რესპუბლიკა იურიდიულად.

— **მანუფაქტურა რკინისგზელთათვის.** რკინის გზელთა სასურსათო კომიტეტმა ნაცვლად იმ ხე-ტყის მასალისა, რომელიც ჩააბარა მან ესპანეთის ფირმებს, მიიღო ათი ვაგონი მანუფაქტურა და ათი ვაგონი ფეხსაცმელები.

— **ახალი რკინის გზა.** დეპარტამენტის ტექნიკურ განყოფილებაში შემუშავებულია წინასწარი პროექტები ლაგოდეხის და ახალ ქალაქის რკინის გზებისა.

— **ნავთსადგურების შეკეთება.** მარტის პირველ რიცხვებიდან დაიწყება დიდი სამუშაონი ბათომის ნავთსადგურში საზღვაო და სამოქალაქო შენობათა კაპიტალურ შესაკეთებლად. ამ მოკლე ხანში განახლდება მიწის ამომღებ სამუშაონი. ფოთის ნავთსადგურში ჯერ-ჯერობით ამოღებულია 10,000 კუბ. საჟენი. გემების შესავალ ხაზზე მიღწეულია საერთო სიღრმე 29 ფ.

— **ნავთის დარიგება.** სასურსათო განყოფილებამ გასცა განკარგულება, რომლის ძალით ორშაბათიდან, თებერვლის 14-დან დარიგდება ბარათებით ნავთი ნავთის შემოტანის შეჩერების გამო ნაცვლად 20 გირვანქისა თითო ბარათზე გაცემული იქნება ათი გირვანქა.

— **სარკინიგზო ტერმინოლოგია.** გზათა დეპარტამენტთან რკინის გზების ტერმინოლოგიის შესადგენად შედგენილ სპეციალურ კომისიის წევრებად დამატებით დანიშნულნი არიან შემდეგი პირნი: რუსუდან ნიკოლაძე—პოლიტექნიკის, ექიმი ლამბაშიძე, ქიმიკოსი მიხეილ შალამბერიძე და გიორგი ლორთქიფანიძე.

— **ბლოკი დემოკრატიულ პარტიასთან.** თბილისის ქალაქის არჩევნებისთვის სახლის მეპატრონეთა კავშირმა დემოკრატიულ პარტიასთან შეჰკრა ბლოკი. ბლოკი საარჩევნო სიას საერთოდ შეადგენს. სახლის მეპატრონეთა კავშირის მხრით ქალაქის საბჭოსათვის წამოყენებულია შემდეგი კანდიდატები: ნ. ე. მზარეულოვი (ხმოსანი და ნაფიცი ვექილი.), ი. ე. გამყრელიძე, ი. ლ. ისარლოვი, ა. ს. ლორთქიფანიძე, ნ. ს ძიძიშვილი, ა. ს. აგაჯანოვი, მ. ზ. შტეინგელი, ა. ოგანოვი, ნ. ი. მრევლიშვილი და გ. ნაუმენკო (ს.)

— **ტყიბულის ქვა-ნახშირი.** თანახმად იმ კომისიის ცნობისა, რომელიც ტყიბულის ქვა-ნახშირის გადაზიდვას ადევნებს თვალ-ყურს, ტყიბულიდან ყოველ დღიურად 70 ვაგონს ქვა-ნახშირს აგზავნიან.

— **რუსთა ყრილობა.** „მე, შინაგან საქმეთა მინისტრმა, გავეცანი რა რუსთა ყრილობის მოწვევის შესახებ და ვიღებ რა მხედველობაში, რომ წესი ეროვნულ კავშირთა შედგენისა განსაზღვრულ იქნება რესპუბლიკის კონსტიტუციით და რომ კავშირის შედგენის უფლებით ისარგებლებენ მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქენი თანახმად 1919 წლის 27 მოქალაქეების კანონისა,

ვადგენ: ეცნობოს რუსთა ეროვნულ საბჭოს განზრახული ყრილობა გადადებულ იქნეს, კონსტიტუციის კანონიერი გზით გამოცხადებამდე. ასლი დადგენილებისა ეცნობოს მილიციის უფროსებს.

— **ქალაქის მოურავის მოადგილე.** ნაცვლად ბ. ჩხიკვიშვილისა, რომელსაც გენ. გუბერნატორის თანამდებობა ჩაბარდა, დაინიშნა გამგეობის წევრი კონიაშვილი, რომელმაც თანამდებობის ასრულებას უკვე შეუდგა.

### სამხატვრო ქრონიკა.

**სახელმწიფო დრამა.**

ხუთშაბათს, თებერვლის 17, პირველად ამ სეზონში წარმოდგენილი იქნება ნინო ნაკაშიძის პიესა: „ვინ არის დამნაშავე?“ პიესა ამ რამდენიმე წლის წინად იყო დადგმული ჩვენს სცენაზე და საზოგადოებას ძლიერ მოეწონა—შინაარსი აღებულია გურულთა ცხოვრებიდან (ამერიკაში მოგზაურობის შემდეგ). პიესას სდგავს რეჟისორი ალ. წუწუნავა. დეკორაციები დახატულია ამ პიესისათვის ვალ. სიდამონ-ერისთავის მიერ.

### პროფ. ზ. ავალიშვილი

ევროპაში საქართველოს დელეგაციის წევრი პროფესორი საერთაშორისო უფლებისა ბ-ნი ზურაბ ავალიშვილი ინგლისის მთავრობას მოუწვევია სამსახურში და დიდი თანამდებობაც მიუცია მისთვის ეგვიპტეში.

როგორც ვგებით, საქართველოს მთავრობას ამ დღეებში დაუბარებია ავალიშვილი საქართველოში იურიდიულ ფაკულტეტის მოსაწყობად და ხელმძღვანელად.

## საქართველოს იურიდიულად ცნობის გამო

**ბანკეტი საგარეო საქმეთა სამინისტროში.**

### ნ. ჟორდანიას სიტყვა.

ბატონებო!

მთელი საქართველო დღესასწაულობს საქართველოს სახელმწიფოს აღდგენას და საერთაშორისო ოჯახში სწორუფლებიანათ შესვლას. ქართველი ერი ამ აქტს ელოდა სამ წელიწადს, ელოდა როგორც დამსახურებულს თავისი წარსულით და თავისი აწმყოთი. ქართველობა არ არის გუშინდელი, ახლად დაბადებული ერი, ერი მიუჩვეველი სახელმწიფოებრივობას და პოლიტიკურ ცხოვრებას. საქართველო არსებობდა როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო ორი ათასი წელიწადი. მან გაუძლო ამ ხნის შესავალში, ხალხთა გადასახლების და შეხლა-შემოხლის შარა—გზაზე და დაიცვა თავისი კულტურა, თავისი თვითარსებობა. ბოლოს ის. თავის ნებით შეუერთდა რუსეთს, რომლის საფარველს ქვეშ მან განაგრძო თავისი კულტურული მუშაობა და პოლიტიკური წინმსვლელობა. ბოლოს საქართველო თავისი ნებით გამოეყო რუსეთს, რუსეთისავე თანხმობით და ამიტომ აღადგინა ასი წლის წინეთ გაწყვეტილი სახელმწიფოებრივი არსებობა. დღევანდელ საქართველოს ასულდგმულებს ორი პოლიტიკური დედა აზრი, მან თავის დროშას დააწერა ორი მცნება: უფლება ერის, უფლება მშრომელის და აქვე ჩვენ გუშინდელ მანიფესტაციაში დაინახეთ ამ ორი პრინციპის ემბლემა—ხალხის ხელში ორი დროშა—მუშების და ნაციის. ჩვენ ხალხს გადაწყვეტილი აქვს ნაციის თვითარსებობის ნიადაგზე მოაწყოს მშრომელთა საუკეთესო ცხოვრება. ამ გზაზე ჩვენ მივდივართ არა განმარტოვებულად, არა საკუთარ ძალღონის ამარად, არამედ ევროპასთან ერთად და ევროპის დახმარებით; ჩვენ არ გვინდა ჩვენი სიზანტით ევროპას ჩამოვრჩეთ, მაგრამ არც ისე გვინდა, რომ საეჭვო ნახტომებით მოვინდომოთ ევროპას წინ გავასწროთ. ამ ჩვენ ურთიერთობაში ორივე მხარე მოვიგებთ—ჩვენ ევროპის კულტურით, საქმიანობით და გამოცდილებით, ევროპა—ჩვენი ბუნებრივი სიმდიდრით, ჩვენი გზით აზიის ხალხებთან ურთიერთობის დამყარებით. 27 იანვრის აქტი საქართველოს და ევროპას სამუდამოთ აკავშირებს და მათი მჭიდრო ურთიერთობის საძირკველს ყრის. ამ აქტში გამოიხატა ნებისყოფა, როგორც ევროპის მთელი წრეებისა, ისე მისი ოპოზიციურათ განწყობილ დემოკრატიისა; საქართველოს შეუძლია იამაყოს, რომ მის კითხვაში შეერთდა ევროპა განურჩევლათ პარტიისა, კლასისა და რწმენისა.

და აი, ნება მომეცით დავლიო სადღეგრძელო ამ ჩვენი დიდებული, იშვიათი ნათლიებისა, დავლიო სადღეგრძელო აქ წარმოდგენილი დიდ სახელმწიფოების ხალხთა და მთავრობათა—საფრანგეთის, ინგლისის, იტალიის, გერმანიის.

მე ვსვამ აგრეთვე სადღეგრძელოს ჩვენს წინ დაბადებულ სახელმწიფოთა—პოლონეთის, ამ აღმოსავლეთის საფრანგეთის და ფილიანდიის-ამ ჩრდილოეთი პოლონეთის.

მე ვსვამ ჩვენთან ერთად დაბადებულ და დამოუკიდებელ პატარა სახელმწიფოთა—ესტონიის, ლატვიის და ლიტვის სადღეგრძელოს.

და უკანასკნელათ მე მინდა განსაკუთრებით დავლიო სადღეგრძელო ჩვენ მეზობელ ერთა და სახელმწიფოთა, რომელთანაც კეთილმეზობლური განწყობილების დამყარებას ჩვენ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვაძლევთ,—სადღეგრძელო რუსეთის, ოსმალეთის, სპარსეთის, სომხეთის და აზერბეიჯანის.

მე ვუსურვებ ყველას გამთიშველი წარსული, მწარე წარსული დავიწყებულ იქნას და ხალხთა ერთობა, სოლიდარობა და კავშირი კვლავ აღდგენილ იქნას კაცობრიობის საკეთილდღეოთ.

### გ. შეკალიეს სიტყვა

(საფრანგეთის წარმომადგენელი საქართველოში და უმაღლესი კომისარი კავკასიაში).

აუღელვებლათ ვერ უპასუხებ მე ბ-ნ თავმჯდომარის სიტყვას. საქართველოს განთავისუფლებისათვის საფრანგეთმა გააკეთა ყველაფერი, რისი გაკეთებაც შეეძლო.

საფრანგეთი სულით და გულით ულოცავს საქართველოს ხალხს, მთავრობას და რესპუბლიკის თავმჯდომარეს. აქ მე ვხედავ ყველა ხალხის წარმომადგენლებს. ამ ხალხთა შორის ერთნი საფრანგეთში გამოჩენილი მეომრები არიან, მეორენი კი უცხონი, ან დღევანდელი მტრები, მაგრამ აქ ამ წუთში ყველა ამ წარმომადგენლებს აერთებს ერთი გრძნობა, გრძნობა მშვიდობიანობისა და შერიგებისა. ჩვენ თავს ვადგავართ საქართველოს აკვანს და მე ვუსურვებ, რომ საქართველომ თავის აღორძინების პირველ დღეს თავის გარშემო ხედავდეს მხოლოდ მოღიმარ სახეებს. ჩვენმა დიდმა პოეტმა ვიქტორ ჰიუგომ სთქვა: როდესაც ბავშვი გაჩნდება ოჯახში—თავნი დაიხრებიან, გულნი გაიხსნებიან ბავშვის მიხალიბათ.

ბატონებო! გავხსნათ ჩვენი გულები, დავხაროთ თავები, რომ ხალხთა ოჯახში მიიღოთ ახალგაზრდა, ახლად შობილი ან უკეთ ახლად აღორძინებული ჩვენი და.

დღეს მე აქ არ ვაწარმოებ პოლიტიკას. ჩემს სიტყვების უკან არ იმალება არავითარი საიდუმლო განზრახვა, არავითარი საიდუმლო აზრი. უდიდესი გულწრფელობით ვისურვებ, რომ ახლად აღორძინებულ საქართველოს გარშემო სუფევდეს „ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“, რაც საფუძველია საერთაშორისო აყვავებისა და კეთილდღეობისა.

ვინაიდან მე წილად მხვდა უპირატესობა აქ დამსწრე ერთად ერთ ქალთან ჯდომისა, ნება მომეცით მივესალმო მას და მისი სახით აქ დამსწრე ეროვნებათა ყველა ქალებს და ვისურვო, რათა მათ შორიდან მოუძღვნან საქართველოს არა მარტო თავიანთი სურვილები, არამედ—ძლიერი მისწრაფებანი მშვიდობიანობისა. დიდის კმაყოფილებით ვუსმენდი მე ღრმად პატივცემულ რესპუბლიკის თავმჯდომარის მტკიცებას, რომ საქართველოს სურს დამყაროს მშრომელთა კეთილდღეობა ეროვნული თვითარსებობის საფუძველზე.

ჩვენს დროში არ არსებობს სხვა საფუძველი, რომელზედაც შესაძლებელი იყოს სოციალური პროგრესის დამყარება. და ჩვენ საქართველოსთან ერთად სულითა და გულით ვისურვებთ, რომ მან თავის გადარჩენასთან ერთათ გადაარჩინოს საქართველოს მშრომელნიც.

მე ვსვამ სადღეგრძელოს საქართველოს, მისი თავმჯდომარის, მინისტრების და კერძოდ საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობის აღმასრულებლის, კ. საბახტარიშვილის. ჩემს სიტყვებს მე ვუერთებ ჩემს წინამოადგილე და მეგობრის—დე მარტელის გრძნობას, მე ვსვამ ბ-ნ ე. გეგეჭკორის სადღეგრძელოს, რომელიც ამდენი ხანია ნაყოფიერად მუშაობს თავისი ქვეყნის სასიკეთოდ. დასასრულ მე გთხოვთ თქვენ საქართველოს აღორძინების დღესასწაულის დროს მოიგონოთ ყველა ის პირნი, რომლებმაც მთელი თავისი ცხოვრება შესწირეს არა მარტო საქართველოს, არამედ მსოფლიოს თავისუფლებისა, სამართლიანობისა და ჰუმანიტეტისათვის.

### პოლ სტოქსის სიტყვა

(დიდი ბრიტანეთის უმაღლესი კომისარი კავკასიაში)

ბატონებო! მე მინდა მადლობა ვსთქვა იმ ტკბილი სიტყვების გამო, რომლებიც მისმა აღმატებულებამ თავმჯდომარე ჟორდანიამ სთქვა ბრიტანეთის მთავრობისა და ჩემს მიმართ.

ჩემის აზრით საქართველოსა და დიდ ბრიტანეთს შორის არსებული მდგომარეობა დამყარებულია საერთო ინტერესების ნიადაგზე და ვიმედოვნებ, რომ ასეთი მეგობრობა მუდმივი იქნება.

მე გულწრფელად მოგილოცავთ საქართველოს იურიდიულად ცნობას. თუმცა მე დიდს სიამოვნებას განვიცდი იმის გამო, რომ დღეს ინგლისის წარმომადგენელი ვარ, მაგ მაგრამ ცოტათი მაინც მაწუხებს ის, რომ ჩემ ადგილზე არ არის ის ინგლისელი, რომელიც 30 წლის წინათ მოვიდა აქ და გაეცნოთ თქვენ და რომელიც, მე მწამს, თანამოაზრეა თქვენი სიხარულისა, ეს ადამიანი გახლავთ ბ-ნი ო. უორდროპი.

გთხოვთ მიირთვათ სადღეგრძელო ქართველი ხალხის ჯანმრთელობისა და აყვავებისათვის და აგრეთვე მისი აღმატებულების ნ. ჟორდანიას, დამოუკიდებელ საქართველოს რესპუბლიკის თავმჯდომარისა.

### ულ. რუშერის სიტყვა.

(გერმანიის ელჩი)

დღევანდელი დღესასწაული გამართულ ა უმშვენიერესი მოვლენის საქებ სადიდებლათ იმ მოვლენათაგან რომლებიც საზოგადოთ შეიძლება ჩაითვალოს ზეიმის საგნათ: სახელდობრ, ზეიმი გამოწვეულია უფლებრივობის საბოლოო გამარჯვებით და საუკუნოებრივ უუფლებობის დამარცხებით. რომ ქართველი ხალხის მხიარულობისა და სიამაყის დღეს გერმანიის წარმომადგენელი გულწრფელათ იზიარებს დღეს ზეიმს, ამის ხაზს გასმით აღნიშვნა ჩემთვის საჭირო არ იქნება, ეს კარგათ იცის თვითეულმა ქართველმა. იურიდიულათ ცნობა დიდი მნიშვნელობის ფაქტია საქართველოს ცხოვრებაში, მაგრამ ის თავათ არ ქმნის ახალ დამოკიდებულებებს, ის მხოლოდ გამოხატულებას აძლევს იმას რაც არის. ის მხოლოდ იმას ამტკიცებს რომ აქ ხალხმა და ქვეყანამ მოიპოვა ნაციონალური და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა,—ხალხმა და ქვეყანამ რომლებიც თავის წიაღში ატარებენ ყველა გარანტიებს თავისუფალი არსებობისა და სიდიადისათვის მომავალში. ვინც ეს არ იცოდა დღემდე,—ის გუშინ დარწმუნდებოდა ამაში. თქვენი დიდათ პატივცემულ ბ-ნ თავმჯდომარის მეთაურობით ჩვენ გუშინ ჩამოვიარეთ თქვენი საუკეთესო ჯარების ფრონტი,—ჯარების, რომლებიც ერთ ერთ გარანტიას შეადგენენ თქვენი დამოუკიდებლობის ხელშეუხებლობისათვის. და როდესაც ამის შემდეგ თქვენი თავმჯდომარის ტრიბუნის წინაშე გაიარა მთელმა ხალხმა, ყველა პროფესიებმა, ყველა კლასებმა და პარტიებმა, ყველა ერებმა, რომლებიც თქვენი მშვენიერი ქვეყნის ბედნიერ მიწა წყალზე ცხოვრობენ; როდესაც თვითეული მათგანი აღფრთოვანებული იყო და სიამაყეს გრძნობდა დამოუკიდებელ სამშობლოს სიყვარულით, რომლის დამოუკიდებლობასაც ისინი მედგრად დაიცავენ,—მაყურებელს არ შეიძლებოდა არ ეგრძნო ერთი რამ: ჩვენს წინ სდგას ხალხი, რომელიც თავის წიაღშივე ატარებს გარანტიებს დამოუკიდებელ არსებობისათვის!

იმ საუბრიდან, რომელიც მე მქონდა თქვენი მთავრობის წევრებთან, გავიგე, რომ თქვენ ჯერ კიდევ ბევრი უნდა გაკეთოთ ახალგაზრდა სახელმწიფოს აპარატისათვის, რომ ყველა სფეროებში, განსაკუთრებით სამეურნეო სფეროში, თქვენ გმართებთ ბევრი მუშაობა და გაუმჯობესების გატარება. მაგრამ ყველაზე უფრო ძლიერი დაბრკოლება ს ხელმწიფოებრივ განვითარების საქმეში, უკვე დაძლეულია. გზა თავისუფალია. და დღეს წმ. გიორგის მერანს თქვენს სახელმწიფოებრივ ღერბში კიდევ უფრო მაღლა შეუძლია აღიმართოს. დღეს იგი კიდევ უფრო გაბედულათ გაემართება წინ, მომავლისაკენ; მე მწამს, მე ვიცი, რომ თქვენი უნარისა და დიდ ნაციონალური თვისებების მეოხებით ეს იქნება ბედნიერი, დალოცვილი, საამაყო მომავალი. საქართველოს რესპუბლიკის ამ მომავალის სადღეგრძელოთ ვცლი მე ჩემს ჭიქას.

### ბერუტტის სიტყვა.

(იტალიის ელჩი).

ბ-ნო მთავრობის თავმჯდომარე, მოწყალეო ხელმწიფენო! იმავე უმაღლეს კმაყოფილების გრძნობით და იმავე მღელვარებით, რომლებსაც მე განვიცდიდი მაშინ, როდესაც პატივი მქონდა გადამეცა საქართველოს მთავრობის თავმჯდომარისათვის ბ-ნ გეგეჭკორის დეპეშა უმაღლეს საბჭოს მიერ 27 იანვარს საქართველოს დამოუკიდებლობის „დე იურე“ აღიარების შესახებ,—კვლავ მოგიძღვნით მხურვალე სალამს და ჩემი უავგუსტოეს ხელმწიფის, მთავრობისა და იტალიის ხალხის კეთილ სურვილებს მე ვთვლი უბედნიერეს მოვლენად ჩემი დიპლომატიური მუშაობის დროს იმ გარემოებას, რომ საშუალება მომეცა მოწმე ვყოფილიყავი ამ კეთილშობილ ქვეყნის იურიდიულად დაბადებისა, აგრეთვე იმ გარემოების, რომ მე პირველმა უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლებისაგან განვუცხადე საქართველოს მთავრობას უმხურვალესი სურვილები იტალიის ხალხის სახელით. და მართლაც, საქართველოს „დე იურე“ ცნობა,—ეს ისეთი მოვლენაა, რომელიც ასე ეთანხმება ჩემი მთავრობის სურვილებს და რომელიც დიდის სიხარულით იქნა მიღებული იტალიაში, სადაც ასე ცოცხალია სიმპატია კავკასიის ახალგაზრდა რესპუბლიკისადმი.

როდესაც თფილისში მოვდიოდი და გამოსამშვიდობელი აუდიენცია მქონდა მის უმაღლესობა მეფესთან—ჩემი უავგუსტოესი ხელმწიფე შემხვდა შემდეგი სიტყვებით: „თქვენ მიემგზავრებით იმ ქვეყანაში, სადაც მე რამოდენიმე დაუვიწყარი კვირეები გავატარე ამ 30 წლის წინად; თქვენ მიემგზავრებით ქვეყნის ერთ-ერთ უმშვენიერეს მხარეს და მე შემშურს თქვენი ბედი“. მე მინდოდა მომეყვანა აქ ეს სასიყვარულო სიტყვები იტალიის მეფისა, ვინაიდან ამ სიტყვებით შეიძლება გამოხატული იქნეს ყველა იტალიელის სიმპატია საქართველოსადმი,—იტალიელების, რომლებსაც ბედნიერება ჰქონდათ რამოდენიმე ხანი დაეყოთ ამ სტუმართ მოყვარე ქვეყანაში.

რაც იტალიის მთავრობას შეეხება,—მისი ღონისძიებანი, საქართველოს „დე იურე“ ცნობის სასარგებლოდ და მისი გაბედული გამოსვლები მოკავშირეთა უმაღლეს საბჭოს უკანასკნელ სხდომაზე, ლოღიკური დასკვნაა მისი პოლიტიკური გეზისა.

მთავრობას, რომელიც მატარებელია ლიბერალიზმის უწმინდეს ტრადიციებისა, წარმომადგენელია იმ ქვეყნის, რომელიც საუკუნოების განმავლობაში განიცდიდა უსამართლო ძალადობას უცხო სახელმწიფოების მხრივ და რომელიც მიმართავდა თავის დამოუკიდებლობისა და სამართლიან საზღვრების მოსაპოვებლად უფლების და არა იარაღის ძალას,—ამ მთავრობას არ შეეძლო თავისუფალ დამოუკიდებელ და ბედნიერ საქართველოს დაარსებაში არ დაენახა ერთ ერთი ლოღიკური შედეგთაგანი უმაგალითო მსოფლიო კონფლიქტისა.

იტალიის მთავრობას, რომელსაც აღფრთოვანებს ძველი რომის სიბრძნე, ხელი უნდა შეეწყო ამ ბედნიერ მოვლენის დაჩქარებისათვის სამართლიანობის სახელით, რომელმაც მიიღო თავისი კურთხევა ტიბრის ნაპირებზე.

მაგრამ გულწრფელი სურვილები თქვენი ახალგაზრდა სახელმწიფოს მიმართ გამოსთქვა აგრეთვე იტალიის ხალხმა, იმ ხალხმა, რომელმაც კარგათ იცის მონობის ტანჯვა წვალება, რომელსაც არასოდეს არ მოუდრეკია ქედი ტირანების ბატონობის წინაშე, რომელსაც მუდამ მაღლა ეჭირა თავისი თავი, რადგანაც სწამდა სიწმინდე უფლებისა, სიმართლე თავის საქმისა! იტალიის ხალხი, რომელმაც ომის დროს ამდენი სისხლი დაღვარა, რომელმაც შესაძლებელია, უფრო მეტი უბედურება გადაიტანა, ვიდრე სხვა რომელიმე ხალხმა, რადგანაც იტანჯებოდა შიმშილისა და სიცივისაგან იმ დროს, როდესაც მისი ჯარისკაცები იბრძოდნენ ფრონტზე —ეს ხალხი ხედავს ახალ სახელმწიფოში, რომლის დაბადებას ჩვენ ვზეიმობთ,—მსოფლიო ომის ერთ იშვიათ უმაღლეს შედეგთაგანს და იგი სულითა და გულით ზეიმობს. მშრომელი ხალხი, რომელიც ქართველი ხალხის მსგავსად აღვსილია სამშობლო მიწა წყალისადმი სიყვარულით და მასავით უარყოფს სამშობლოს მომსპობ უტოპიებს, უწვდის თავის ხელს კავკასიის მშრომელებს და ძმური გრძნობით ართმევს მას ხელს.

გამოვსთქვამ რა ამ გრძნობებს, მე გულწრფელად ვუსურვებ ყოველივე კეთილს საქართველოს, მის გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეს, რომელიც ასეთის ღირსებით და ნიჭიერათ თავმჯდომარეობს საქართველოს მთავრობაში;—მთავრობის ყველა წევრებს, დამფუძნებელ კრებას, საქართველოს არმიას და სახალხო გვარდიას. მე მსურს, რომ საქართველოს შესვლა საერთაშორისო ოჯახში, რაც წარმოადგენს სამართლიანობის აქტს, გარდაიქცეს მომასწავებლად იმისა, რომ მთელს ქვეყანაში მყარდება ჭეშმარიტი რომაული მშვიდობიანობა.

### პიაზიმ ბეის სიტყვა

(ოსმალეთის დიდი ეროვნული ყრილობის მთავრობის წარმომადგენელი)

ბატონო თავმჯდომარე, მოწყალეო ხელმწიფენო! მე მინდოდა ჩემი სიტყვის წარმოთქმა ოსმალურად რათა უკეთ გამომეხატა გრძნობები, მაგრამ რაკი არა მყავს კარგი მთარგმნელი, ამიტომ მე ვარჩევ ვილაპარაკო ფრანგულ ენაზე, რომელზედაც აცნობა მე 19 საუკუნემ ქვეყნიერებას თავისუფლებისა და ხალხთა სამღვთო უფლებათა მაღალი თეორიები, რომელზედაც გამოჩენილი საფრანგეთის პოეტი და პატრიოტი პიერ ლოტი იცავდა და იცავს ოსმალეთის ხალხის სიმამაცეს და უდანაშაულობას და ფეხქვეშ გათელილ მის უფლებებს.

ბატონებო! მე, როგორც ოსმალეთის დიდ ნაციონალურ ყრილობის მთავრობის წარმომადგენელმა, შემიძლია განვაცხადო და დავ მოწმო, რომ საქართველოს იურიდიულად ცნობა ოსმალეთის ხალხზე [illegible] შთაბეჭდილებას ახდენს. ეს შთაბეჭდილება ემყარება პირველად ყოვლისა იმაზე, რომ ოსმალეთს, როგორც ძლიერ მოყვარულთ თავის საკუთარ დამოუკიდებლობისა, ყველაზე უფრო ძლიერათ შეუძლიათ დააფასონ და პატივი სცენ თავის მეზობლების დამოუკიდებლობას.

მეორეთ, მიუხედავათ სხვადასხვა შეხედულებისა ამ საკითხში, ოსმალები უყურებენ საქართველოს ისტორიული თვალსაზრისით, როგორც ძვირფას განძს აღმოსავლეთის ხალხთა ოჯახში.

მესამეთ, საქართველო თავის გეოგრაფიულ და ეკონომიურ მდგომარეობის გამო არის ხიდი ევროპასა და აზიას შორის, მაგრამ მეორე ხიდი სტამბოლს,

### სიძველეთა დაცვა *)

(გაგრძელება იხ. „საქართ.“ № 34.)

და აი 30 ოქტომბერს 1919 წ. შესდგა სხდომა საკათალიკოსო საბჭოსი პატრიარქ-კათალიკოსის ლეონიდის თავმჯდომარეობით და ეს სხდომა არა ჩვეულებრივი იყო, ვინაიდან ამას დაესწრნენ წარმომადგენელნი სახელმწიფო უნივერსიტეტისა, საქ. საისტ. და საეთ. საზოგადოებისა და საგანგებოთ ჩამოსული ქუთაისის საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების თავმჯდომარე ტრიფონ ჯაფარიძე, რომელმაც დაგვდვა პატივი და ძლიერ დიდი დახმარება აღმოგვიჩინა ეკლესია-მონასტრების ნივთების აწერის დროს დასავლეთ საქართველოში და კარგათ იცოდა მდგომარეობა საქმისა. მე სხვათა შორის მივაქციე საბჭოს ყურადღება, თუ რა საშიშ მდგომარეობაშია განძეულობა ზოგიერთ მიყრუებულ მონასტრებისა და ეკლესიებისა და გამოვთქვი აზრი მათი კონცენტრაციის საჭიროებისათვის შედარებით უფრო დაცულ მონასტრებში, მივეცი წინადადება, რომ ხელნაწერები, ნაქსოვ-ნაკერები და ისეთი საგნები, რომელთაც კულტის მნიშვნელობა არა აქვს, გადმოტანილ იქმნას დასაცავად მუზეუმში. ამასთანავე მოვახსენე ჩემი მოსაზრება, რომ ზოგიერთი მონასტერი, რომელშიაც ბერები აღარ ცხოვრობენ და ხალხი თხოულობს მათ მონასტერი შტატის ეკლესიად მიეცეს, გაუქმებულ უნდა იქმნას და შტატის ეკლესიად გამოცხადებული. მაგალითად უჩვენე კაცხის მონასტერი, რომელსაც მარტო წინამძღვარი ყავდა და ბერი არც ერთი. კათალიკოს პატრიარქმა ლეონიდმა თვითონ დაამოწმა ანომალიური მდგომარეობა ამ მონასტრისა, რომლის პატარა ეკლესია შტატის ეკლესიად ითვლება და იქ აუარებელი ხალხი იყრის თავს, მაშინ როდესაც თავ ეკლესიაში მარტო ერთი წინამძღვარია და განცალკევებულად სწირავს. ჩემი მოხსენების და ხანგრძლივის ბჭობის შემდეგ, როდესაც ეს საკითხი ყოველ მხრივ იქმნა გაშუქებული, საბჭომ ერთხმად ასეთი დადგენილება მიიღო: „ჯრუჭის, კაცხის და ქელიშის მონასტრის ძვირფასი და დიდ მნიშვნელოვანი ნივთები მოთავსებულ იქმნას დროებით გელათის მონასტერში; წალენჯიხის, კორცხელის და ახალ დაბის (ქვალეუშის)—ხობში; ხელთნაწერები, ნაქსოვ-ნაკერები და ძველი გარდამოხსნები აღნიშნულ ადგილებიდან გადმოტანილ იქმნას დასაცველად ტფილისის საეკლესიო მუზეუმში, ხოლო მარტვილის მონასტრის სიძველეთა [illegible] დასაცველად გამოთხოვილ იქმნეს ჭყონდიდის საეპარქიო საბჭოს მიერ [illegible]“ (იხ. საკათალიკოსო საბჭოს ოქმი 30 ოქტომბრისა 1919 წ.). ქვემოთ მკითხველი დაინახავს, რომ მე ასეთივე აზრი გავატარე ჩემს მოხსენებაში მთავრობისადმი და ვთხოვდი მთავრობას მცველების დაყენებას უფრო თვალსაჩინო მონასტრებისათვის, აგრეთვე ვითხოვდი მიწის ნორმის მიცემას მონასტრებისათვის, წისქვილების დაბრუნებას და სხვა. ნორმის შესახებ არა ერთხელ მქონია საუბარი მიწათ-მოქმედების მინისტრთან, რომელმაც გამოაცხადა, რომ ნორმის მიცემა საკუთრებად მიღებულის კანონის დარღვევა იქნება და მათთვის უფრო ხელსაყრელია იჯარით მიიღონ მიწები და ეს იჯარა სულ მცირე იქნება. ეს აზრი განხორციელდა კიდეც ზოგიერთ მონასტრების შესახებ. ამას შემდეგ ჩვენ არა ერთხელ ავღძრავს შუამდგომლობა მთავრობის თავმჯდომარის წინაშე კერძო თუ ოფიციალური წერილით, რომ ზოგიერთი მონასტრების წინამძღვრებისა და კრებულისათვის დაენიშნათ ჯამაგირი, ვინაიდან ისინი არიან მცველები შესანიშნავი ძეგლებისა და თუ ისინი მოსცილდნენ მონასტრებს, ძეგლების დაცვა უფრო ძვირად დაგვიჯდება. მართლაც და ზოგიერთ მონასტრის წინამძღვრებს და კრებულებს მთავრობამ დაუნიშნა ჯამაგირი. მაგალითად მარტვილის მონასტრის წინამძღვარს, მღვიმისას და გელათისას; დახმარება გამოვსთხოვეთ ბეთანიის მონასტრის დასაცავად განათლების სამინისტროს და სხვა, არა ერთხელ აღვძრავს საკითხი შესანიშნავი ეკლესია-მონასტრების შენობების შესაკეთებლად და აღსადგენად დამფუძნებელი კრების ხელოვნების და საფინანსო კომისიაში და თუმცა ასეთ საჭიროებას ყველა იზიარებდა, მაგრამ უფულობის გამო თანხას ვერ გვაძლევდნენ, ხოლო შარშან ზაფხულის წინ გადასდვეს ამ საქმისთვის განათლების სამინისტროს განკარგულებაში ორი მილიონი მანეთი. საქმის ასრულება ევალება სახელმწიფო მუზეუმის (ყოფილი კავკასიის) საბჭოს. ამ თანხით ჯერ შეკეთდა სახურავები გელათის და ჭყონდიდის მონასტრებისა და სხვა მოხმარდება მცხეთის საკრებულო ტაძარს. ეს თანხა დღეს [illegible] ასეთი დიდი საქმისათვის, მაგრამ ჩვენ ვიმედოვნებთ, სამერმისოდ დამფუძნებელი კრება ამ საქმისათვის ჯეროვან თანხას გადასდებს, ვინაიდან ყველა წევრს ეხლა კარგად აქვსთ შეგნებული ამ საქმის უდიდესი მნიშვნელობა და ძეგლების დაცვა თვით კონსტიტუციაშიც არის შეტანილი. მუზეუმის საბჭოს მე მივეცი წინადადება, რომ იმ კომისიაში, რომელსაც მინდობილი აქვს ძეგლების შეკეთება და დაცვა, მოწვეულ იყოს საკათალიკოსო საბჭოს წარმომადგენელი.

საკითხი ძეგლების დაცვის შესახებ მე ჯერ კიდევ პარლამენტის დროს აღვძარი საფინანსო კომისიაში, როდესაც ირჩეოდა საკითხი სამღვდელოებისათვის მისაცემი თანხისა. იქვე ბრძანდებოდა საკათალიკოსო საბჭოს წარმომადგენელი ნიკ. თალაკვაძე და იმედია ის დაგვიმოწმებს ჩვენს ნათქვამს. ხოლო მას შემდეგ, რაც დამფუძნებელი კრების სახელოვნო კომისია დაარსდა, ძეგლების მოვლის საკითხს და გადარჩენას უფრო მეტი ყურადღება აქვს მიქცეული, სახელმწიფო მუზეუმის საბჭოს განკარგულებაში მცირეოდენი თანხა გადადებული, რომლითაც არა ერთი საეკლესიო ნივთი და თვით ხატიც შეგვიძენია, რომელიც უამისოდ უცხოელების ხელში გადავიდოდა კერძო ოჯახებისაგან.

როდესაც შარშან სამეგრელოს თავადის საკულტურო ნივთების ასაწერად გავემგზავრეთ ზუგდიდში და იქ აღმოვაჩინე სხვათა შორის გადამალული ვლაქერნის ხატი, რომლის გზა-კვალს რამოდენიმე წელიწადს ვეძებდით და ვერ მივაგენით, და ეს ხატი თბილისში ჩამოვიტანეთ სხვა წიგნებთან ერთად, მე მოვახსენე მთავრობის თავმჯდომარეს, რომ ნივთები თავადის სახელზედ უნდა იქმნას დაცული ხაზინაში როგორც მისი საკუთრება, ხოლო ხატი ეკლესიისა იყო და მას არ ჰქონდა ნება მისი საკუთრების მითვისებისა, ამიტომ ხატი საკათალიკოსო საბჭოს სახელზედ უნდა იყოს შენახული მეთქი. არ ვიცი, საკათალიკოსო საბჭომ რამდენათ სისრულეში მოიყვანა თავის დადგენილება ჩემი მოხსენების შემდეგ, ეს კი ვიცი მხოლოთ, რომ ჯრუჭის მონასტრის ნივთები მართლა იქმნა გადატანილი გელათში და მე მგონია მით გადარჩა ხიფათს, ვინაიდან ჯრუჭის მონასტერი ტყეშია მთაზე გაშენებული მოშორებით სოფლისა და არა ერთხელ იყო გაძარცული ავაზაკთა მიერ. სხვა ნაწილი დადგენილებისა, როგორც ეტყობა, საკათალიკოსო საბჭოს არ შეუსრულებია. არც მთავრობას მიუქცევია დიდი ყურადღება განძეულობის დაცვისათვის ჩემი მოხსენების კომისიამ გამგზავნა იუსტიციის სამინისტროში მონაწილეობის მისაღებად შემდეგ. ხოლო ერთხელ სელოვნების კომისია, რომელიც მთავრობას შეადგინა უწყებათა წარმომადგენელთა მიერ იუსტიციის მინისტრის თავმჯდომარეობით. საკითხი ეხებოდა საეკლესიო ძეგლების დაცვას. კომისიაში არსენიძის მაგიერ ბ-ნი გ. ჟორდანია დაგვიხვდა, დეპარტამენტის დირექტორი, ის თავმჯდომარეობდა. მე განვუცხადე ბ. გ ჟორდანიას, რომ ყოვლად შეუძლებელია ამ კომისიაში არ მოიწვიოთ საკათალიკოსო საბჭოს წარმომადგენელნი, ვინაიდან საეკლესიო განძეულობის უახლოესი შემნახველ-პატრონი სამღვდელოება არის მეთქი, აგრეთვე უნდა მოიწვიოთ უნივერსიტეტის, ხელოვანთა საზოგადოების და საისტ. და საეთნ. საზოგადოების წარმომადგენელნი მეთქი. მან თანხმობა გამოაცხადა, არსებითათ არ გვქონია ლაპარაკი იმ სხდომაზედ, სხდომა გადაიდო და დავიშალენით. მეორედ შესდგა კომისიის კრება ბ-ნ არსენიძის თავმჯდომარეობით იმ დროს, როდესაც მეორე საკლესიო კრება გაიხსნა კომისიას დაესწრნენ საკათალიკოსო საბჭოსაგან ჭყონდიდის მიტროპოლიტი ამბროსი და მარკოზ ტყემალაძე. მეთხეს აზრი, მე არსებითად განვიმეორე სწორეთ ის, რაც საკათალიკოსო საბჭოს მიერ იყო უკვე მიღებული და რაც არა ერთხელ განმიმეორებია, ესე იგი, რომ რაც შეადგენს კულტის საგანს და ხალხის სამლოცველოს დარჩეს ეკლესია-მონასტრებში და მიღებულ იქმნეს ზომა მით დასაცავით, ხელნაწერები, ნაქსოვ-ნაკერები და სხვა გადმოტანილ იქმნეს მუზეუმებში. წინააღმდეგი ამისი არავინ არ ყოფილა. ხოლო მიტროპოლიტმა ამბროსიმ განაცხადა, მოვახსენებ კათალიკოს პატრიარქს და შეიძლება საეკლესიო კრებაზე დავსვათ ეს საკითხიო. გზაში მთხოვა ამბროსიმ, როდესაც ამ საკითხს დავსვამთ კრებაზე, დაგვესწარიო, მე თანხმობა გამოვაცხადე, ხოლო ვსთხოვე წინდაწინ ეცნობებინათ, თუ რომელ დღეს დამიბარებდენ. საეკლესიო კრების უკანასკნელი დღე იყო, რომ მე წერილი დამხვდა სახლში კათალიკოს პატრიარქისა ლეონიდისა: მეორე საეკლესიო კრება გთხოვთ, პატივი დაგვდვათ, მობრძანდეთ და თქვენი აზრი გაუზიაროთ კრებას საეკლესიო ნივთების შესახებო, წერილი ბ-ს გერასიმე იმნაიშვილს მოეტანა, მე იმ დღისთვის არ მეცალა, სოფელში უნდა წავსულიყავი, შემხვდა ქუჩაში გერასიმე და მთხოვა უსათუოდ დავსწრებოდი, დღეს იქნება საკითხი დასმული საეკლესიო კრებაზე და შენს უკეთ ვერვინ გააშუქებს ამ საქმესო. ვეახელი კრებას დანიშნულს ვადაზედ, საღამოს 7 საათზედ 6 ივნისს გასული წლისა; მოვახსენე, როგორც შემეძლო, დაწვრილებით, თუ რა მდგომარეობაშია ძეგლების მოვლა, რა კულტურული და საეკლესიო საუნჯე დავკარგეთ ამ რევოლიუციის დროს და რა მოვლის დანარჩენს, თუ შესაფერი ზომები არ იქნა მიღებული მათი დაცვა მოვლისათვის, გავიმეორე ის, რაც ყოველთვის გვითქვამს კომისიებში და რაც არსებითად მიღებული და დადასტურებული იყო უკვე საკათალიკოსო საბჭოს მიერ ყველა ჩვენი სამეცნიერო დაწესებულებათა წარმომადგენელების თან დასწრებით. მე მეგონა ეს საკითხი პირველად იყო დასმული საეკლესიო კრებაზედ. მე მეგონა ბჭობა იქნებოდა საუკეთესო ლონის გამონახვისათვის ძეგლების დაცვისა და მოვლისა. ამის მაგიერ კრების სულ წევრ. მთავრობის ურწმუნოებაზედ და ულმერთობაზედ ლაპარაკობდნენ და ეკლესიის და სამღვდელოების მათ მიერ უყურადღებოთ დატოვებაზედ და უმატებდნენ, რომ საეკლესიო ნივთები უხსოვარი დროიდან როგორც დაუცავს სამღვდელოებას, ისე დაიცავს კიდევ. საკათალიკოსო საბჭოს წევრები მიტროპოლიტები და ზოგიერთი სამღვდელო პირნი, რომელნიც წინეთაც და ეხლაც იზიარებენ საეკლესიო საბჭოს დადგენილებას და რომელნიც ხელს უწყობდენ ხელნაწერებისა და სხვა ნივთების მუზეუმში შეკრებას, [illegible] სდუმდნენ. მე მეგონა, ხმას ჩა-

---

*) შენიშვნა: ბ-ნ ე. თაყაიშვილის წერილის ტექსტი იბეჭდება უცვლელად, ავტორის სურვილისამებრ. რედაქცია ამ საგანზე გამოსთქვამს თავის აზრს ცალკე წერილით.
რედაქცია.

ამ ჩვენი ძვირფასი დედა ქალაქის, შემდეგ, რომელიც სამლოცა ჩვენთვის და და მთელ ისლამის ქვეყნისათვის.

მეორეთ, არის კიდევ ერთი მოტივი, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი—საქართველოს ცნობა გამოიწვევს ხმამაღალ და თანაგრძნობის გამოძახილს აღმოსავლეთის ხალხთა და მთელი ქვეყნის მხრივ, რომლებიც ამ წუთში ღრმა შიშს განიცდიან თავისი მომავალი არსებობის გამო.

არა მსურს რა შევეხო დიდი პოლიტიკის საკითხებს, მე ვკმაყოფილდები შემდეგი შენიშვნით: ტანისამოსს იცვლიან სეზონის მოთხოვნილების თანახმად.

ვსარგებლობ რა ამ შემთხვევით, მე კმაყოფილების გრძნობით მსურს გაცნობოთ, რომ მოკავშირე სახელმწიფოებმა მიჰმართეს უშუალოდ ჩემს მთავრობას ანგორაში თხოვნით გაჰგზავნოს მან თავისი წარმომადგენლები ლონდონის კონფერენციაზე.

ჩემმა მთავრობამ, რომელიც კანონიერი წარმომადგენელია ჩემი ქვეყნის და განმახორციელებელია ოსმალეთის ხალხის ნებისყოფის, უკვე გაჰგზავნა თავის დელეგაცია, რომელიც გაემგზავრა გუშინ ღამით სპეციალური მატარებლით ლონდონში, საიდანაც ერები ელიან დამშვიდებისა და შემსუბუქების ცნობის მიღებას ელიან, დაბოლოს, რეალური ზავის დამყარებას, რომლისაც ოსმალები ქვეყანაზე ყველაზე უფრო ძლიერ საჭიროებენ.

მე ვილებ სასმისს დამოუკიდებელ საქართველოს აყვავებისათვის, მისი მთავრობის და მთავრობის თავმჯდომარის, დიდათ პატივცემულ ბატონ ჟორდანიას დღეგრძელობისათვის,

**სერ. ქავთარაძე**

**რუსეთის ს. ფ. ს. რ. წარმომადგენლობის პირველი მრჩეველი.**

ამხანაგო ნოე! მე მოგმართავთ ასე, რადგან ის წყარო, რომლიდანაც ჩვენ მიგვიღია იდეური საზრდო,—ერთია. მე მოგმართავთ ასე, როგორც წარსულში ჩემს მასწავლებელს. მე მოგმართავთ ქართულად, რადგან ეს ენა არის ენა ქართველ მშრომელი ხალხის, რომელმანაც გამოიტარებია მთელი ჩემი რევოლიუციონური სიყმაწვილე. ამხანაგო ნოე! თქვენს სიტყვაში რუსეთი მოიხსენიეთ, როგორც ისტორიული და გეოგრაფიული მეზობელი. მე კი მგონია, აქ აღსანიშნავია უფრო მნიშვნელოვანი მომენტი, სახელდობრ, მომენტი იდეური: რუსეთი არის სოციალისტური რესპუბლიკა, სადაც მშრომელი მასები კარგა ხანია შეუდგენ სოციალისტური წესწყობილების დამკვიდრებას, სოციალიზმის ცხოვრებაში გატარებას და თქვენთვის როგორიც, სოციალისტისთვის. რომელიც სახელმწიფოს სათავეში უდგია და რომლის საბოლოო მიზანი სოციალიზმია, არსებობს საქართველოსა და რუსეთს შორის უფრო ღრმა კავშირი, ვიდრე ისტორიული და გეოგრაფიული. მე წარმომადგენელთა შორის, რომლებმაც თავიანთ საპასუხო სიტყვაში გამოსთქვეს სიყვარული და სიმპატია ქართველი ხალხისადმი, მე, როგორც მშრომელთა რესპუბლიკის დღეს აქ შემთხვევით წარმომადგენელს, დარწმუნებული ვარ, მომაკუთვნებთ არა უკანასკნელ ადგილს და ჩემს სიყვარულის და თანაგრძნობის გამოცხადებას ქართველი მშრომელი ხალხისადმი თქვენ მიიღებთ მეტის რწმენით და დაჯერებით. აგრეთვე იმ ჰიმნს, რომელიც არის ლოცვა მთელი მსოფლიოს სოციალისტური პროლეტარიატის და აგრეთვე თქვენიც, თქვენ მოისმენთ ღრმა სასოებით და თქვენი გული მეტის თანაგრძნობით და სიყვარულით აძგერდება ,,ინტერნაციონალის'' ხმების გაგონებაზე.

ნება მიბოძეთ ეს სასმისი ავილო ხელში და სრულის გულწრფელობით ვსთქვა სადღეგრძელო ქართველი მშრომელი ხალხის და აგრეთვე თქვენი, როგორც მისი დღევანდელი ბელადის და მესვეურის.

## სომეხთა თვითმართველობა

(პროექტი სომეხთა ეროვნული თვითმართველობისა)

**მუხლი 1.**

საქართველოს საზღვრებში სომხებს აქვთ ეროვნული თვითმართველობა.

**მუხლი 2.**

ეროვნული თვითმართველობას ანხორციელებს ეროვნული ყრილობა და მისი აღმასრულებელი ორგანო—ეროვნული საბჭო.

**მუხლი 3.**

ეროვნული ყრილობა ირჩევა საერთო, პირდაპირი, თანასწორი, ფარული და პროპორციული საარჩევნო უფლების საფუძველზე და იკრიბება იმ დროს, რა დროსაც თვითონ დანიშნავს. ეროვნული საბჭო მოქმედებს იმ უფლებრივს ფარგლებში, რომელსაც ეროვნული ყრილობისგან მიიღებს.

**მუხლი 4.**

ეროვნული ყრილობა და საბჭო წარმოადგენს საჯარო-უფლებრივ ორგანოს და აღჭურვილია იურიდიული პიროვნების ყველა უფლებით,—მათ შორის ყოველგვარ კანონიერი გზით უძრავ-მოძრავი ქონების ჩამორთმევისა და შეძენის უფლებებით.

**მუხლი 5.**

სომხური ეროვნული თვითმართველობის ქონება საქართველოში მცხოვრებ სომხის ერის საკუთრებაა.

**მუხლი 6.**

ეროვნული ყრილობის წევრთ, საკანონმდებლო უწყების წევრთა შორის საერთო კრებებზე აქვთ სიტყვის თავისუფლება. ეროვნული ყრილობისა და საბჭოს წევრნი თავიანთ თანამდებობაში ყოფნის დროს პასუხისმგებელნი არიან საკუთარი ყოფაქცევისა და ბოროტმოქმედებისათვის და ჰკარგავენ თავისუფლებას მხოლოდ სასამართლოს წესით.

**მუხლი 7.**

იმ რაიონებში, სადაც სომხები სხვა ერის მცხოვრებლებთან შედარებით შეადგენენ 15 პროც.-ზე არა ნაკლებს (ქალაქში, მაზრაში, თემში, სოფელში), სომხური ენა სახელმწიფოებრივი ენის თანასწორია ადმინისტრატიულ ადგილებში, თვითმართველობათა ორგანოებში, სასამართლოში, საჯარო კრებებზე და საფოსტო-სატელეგრაფო ურთიერთობაში და ხსენებული ადგილების დაწესებულებანი და თანამდებობის პირნი ვალდებულნი არიან მიიღონ სიტყვიერი თუ წერილობითი განცხადებანი და განმარტებანი, აგრეთვე საქმის ქაღალდები სომხურ ენაზე და იმავე მხრითაც მისცენ სომხურ ენაზე დაწერილი ქაღალდები.

**მუხლი 8.**

საკანონმდებლო დაწესებულებაში სომხური ენა სახელმწიფოებრივი ენის თანასწორი უფლებისაა და ცენტრალი მთავრობის ყველა საერთო სახელმწიფოებრივი კანონი თუ განკარგულებანი ქვეყნდება როგორც ქართულს ისე სომხურ ენაზე.

ასეთივე წესით ხდება ადმინისტრატიულ უწყებებისა და პირთა, ადგილობრივი თვითმართველობების ორგანოთა და სასამართლოს დადგენილებებისა თუ განკარგულებების გამოქვეყნება იმ რაიონებში, რომელნიც მე-7 პარაგრ. თეზისებშია აღნიშნული.

**მუხლი 9.**

სომხური ენის უფლება უზრუნველყოფილია იმ სპეციალი კანონებით, რომელიც აღნიშნულია მე-6 და მე-7 პარაგრაფში.

**მუხლი 10.**

სომხურ ეროვნული თვითმართველობის კომპეტენციაში შედის: ა) წარმომადგენლობა და დაცვა სომხის ერისა და სომხური დაწესებულებათა უფლებებისა და ინტერესებისა, როგორც კერძო პირთა ისე ჯგუფისა, რომელიც გამომდინარეობს მათის მხრით სომხის ეროვნებისადმი კუთვნილებიდან და ბ) წარმოება შემდეგი საქმეებისა: სახალხო განათლების, ეროვნული კულტურის განვითარება და აგრეთვე სომხურ მცხოვრებლებისთვის დახმარების აღმოჩენა სურსათის, მეურნეობის, ჯანმრთელობის საქმეში.

**მუხლი 11.**

სომხური სახალხო განათლების საქმე სავსებით გადაეცემა სომხურ ეროვნულ თვითმართველობას და სკოლაში მეცადინეობა სწარმოებს სომხურ ენაზე. დაბალს, საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში, როგორც საერთო, ისე სპეციალი განათლების, პროგრამის დამტკიცება და განმარტება და აგრეთვე მათი მართვა-გამგეობა სავსებით ეროვნულ თვითმართველობას ეკუთვნის. უმაღლეს პირველ-დაწყებითი და საშუალო სასწავლებლებში სავალდებულოა ქართულ ენაზე მეცადინეობა.

**მუხლი 12.**

სახალხო განათლებისათვის და ეროვნული კულტურის განვითარებისათვის სომხური ეროვნული თვითმართველობა თავის განკარგულებაში ღებულობს წყაროს სათანადო სახელმწიფო ბიუჯეტიდან ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოებიდან მცხოვრებთა პროპორციული შეფარდების მიხედვით.

**მუხლი 13.**

სომხურ ეროვნულ თვითმართველობას უფლება აქვს სპეციალი გადასახადი გააწეროს სომხებს, იმ საქმეებისათვის, რომელიც მის კომპეტენციაში შედის.

**მუხლი 14.**

სომხური ეროვნული საბჭოს წარმომადგენელნი სომხური თვითმართველობის საქმეების გამო მინისტრთა საბჭოს კრებაზე მონაწილეობენ მინისტრის უფლებებით.

## სასოფლო-სამეურნეო ყრილობები

### მოწოდება

მოქალაქენო, სოფლის მეურნენო! მესამე წელიწადია რაც ჩვენი აღდგენილი სახელმწიფო თავგამოდებით და შეუდრეკლათ იცავს თავის პოლიტიკურ დამოუკიდებლობას. მესამე წელიწადია რაც ჩვენი სამშობლოს მშრომელი მარჯვენის უმეტესი ნაწილი გამუდმებით და ერთი მეორის შეცვლით იარაღით ხელში ღირსეულად იცავს ჩვენს საზღვრებს და გვიფარავს მოზღვავებულ მტრის მიერ გათქერისაგან. ჩვენი საუკეთესო შვილთა თავგანწირვამ და მამულის სიყვარულმა იხსნა საქართველო ფიზიკური განადგურებისაგან: ჩვენი სახლკარი, ჩვენი ოჯახი არ ყოფილა აწიოკებული, როგორც მაგალითად ჩვენს მეზობელ სომხეთ-აზერბაიჯანში, მაგრამ ჩვენი ძლიერებისთვის და პოლიტიკურ დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის არ კმარა მხოლოდ საზღვრები გვქონდეს გამაგრებული—საჭიროა განვამტკიცოთ ჩვენი ეკონომიური მდგომარეობაც; საჭიროა შევქმნათ და გავამრავლოთ ჩვენი ქონებრივი დოვლათი; საჭიროა გავუძლოთ ჩვენს სახელმწიფოს და ოჯახურ ხარჯებს.

მოგეხსენებათ, ჩვენი სახელმწიფოს ეკონომიური სიძლიერე დამოკიდებულია სოფლის მეურნეობაზე. მოგეხსენებათ აგრეთვე ისიც, რომ ჩვენი კურთხეული სამშობლო მდიდარია ბუნების მრავალ ფეროვანობით და მიუხედავად ამისა მთელი ჩვენი სოფლის მეურნეობა ჯერ ომისა და რევოლიუციის და შემდეგ კი ჩვენი მოუწყობლობის და შეუკავშირებლობის წყალობით თანდათან უკან-უკან მიდის: სოფელი გაღატაკდა, იგი ჩაუცმელ დაუხურავია, მას აკლია პირველ საჭიროების საგნები, უძველესი და უკეთილშობილესი ჩვენი სოფლის მაღალ კულტურული დარგები: მეცხვარეობა, მევენახეობა, მეთამბაქოობა და სხვა, ისპობა. მხვნელ მთესველთ აღარა ჰყავთ მუშა საქონელი, აღარა აქვთ გუთანი და სხვა იარაღი და ჩვენი სახელმწიფოს არსებობის საფუძველი კი სწორედ სოფლის მეურნეობაა—ამიტომ უაღრესად საჭიროა მთელი ჩვენი ძალების ამოძრავება სოფლის მეურნეობის ასაღორძინებლად და მტკიცე სასოფლო სამეურნეო პოლიტიკის შესაქმნელად. ამისათვის კი საჭიროა მთელ ჩვენ მეურნეთა შეკავშირება და დარაზმვა, საჭიროა მათი გაერთიანება დარგთა მიხედვით და სახელმწიფოსთან თანამშრომლობა, საჭიროა დრო გამოშვებით, მაგრამ სისტემატიურად იმართებოდეს ყოველ დარგის ყრილობები, სადაც მეურნეთ საშუალება მიეცემათ გაუზიარონ ერთმანეთს თვისი გასაჭირი, დაკვირვებანი და საერთო საშუალებით გაიკვლიონ ახალი გზები, რომელნიც იხსნიან ჩვენს მეურნეობას განსაცდელისაგან. საჭიროა შეიქმნეს ყოველ სამეურნეო დარგის დამცველი, ასე ვსთქვათ, პროფესიონალური ინტერესების გამომხატველი მუდმივი ორგანოები და ამ ორგანოთა შეთანხმებული მოქმედება სწარმოებდეს ერთს გაერთიანებულ დაწესებულებაში—სასოფლო სამეურნეო პალატაში. და სწორედ ამ მიზნით სასოფლო-სამეურნეო პალატის საორგანიზაციო კომიტეტი ყოველ მნიშვნელოვან დარგთა წარმომადგენელ ორგანიზაციებთან შეთანხმებით მომავალ თებერვალში იწვევს მთელ რიგ სხვა და სხვა სამეურნეო დარგთა ყრილობებს. ამ ყრილობებზე დასწრება შეუძლია ყველა მეურნეს, ხოლო სრულუფლებიან წევრთა შემადგენლობა განსაზღვრული ყოველ ყრილობისთვის შემდგარი განსაკუთრებულ ინსტრუქციით.

ყრილობები შესდგება:

| | | |
|---|---|---|
| 20—22 | თებერვალს | მეცხვარე მესაქონ. |
| 23—24 | ,, | მეღვინე-მევენახეთა |
| 25—26 | ,, | მეთამბაქოეთა |
| 27—28 | ,, | მეხილე-მებაღეთა |
| 1—2 | მარტს | მხვნელ მთესველთა |

ხოლო 3 მარტს შესდგება გაერთიანებული კრება ყველა ყრილობების წარმომადგენელ საბჭოებისა სასოფლო სამეურნეო პალატის მმართველ ორგანოთა ასარჩევად.

**სოფლის მეურნენო, მეტის ყურადღებით მოეპყარით თქვენს საკუთარ საქმეს... გაგვაგებინეთ თქვენი გასაჭირი.. გავიზიარეთ თქვენი მდგომარეობა და დაკვირვებანი. დაესწარით ყრილობებს.**

**სასოფლო—სამეურნეო პალატის საორგანიზაციო კომიტეტი**

## წერილი რედაქციის მიმართ

ბ. რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ საშვალება მოგვცეთ თქვენი გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა გამოუცხადოთ იმ ჩვენს დებსა და ძმებს, რომელთაც გამოგზავნილი საჩუქრებით გაგვახარეს ჩვენ, ფრონტზე მყოფი ჯ.-კაცები და მით გვაგრძნობინეს, რომ მარტონი არ ვიბრძვით საქართველოს საზღვრების შემოსაფარგლავად და ჩვენს ზურგს უკან მხურვალე მონაწილეობას იღებენ სხვებიც.

ვუსურვებთ ზურგის ფრონტს მხნეობასა და სიფხიზლეს.

ჩვენი გულიც, თქვენთან ერთად, ზეიმობს საქართველოს დამოუკიდებლობის იურიდიულად აღიარებას.

ფრონტზე მყოფ მე-8 ათასეულის ჯ.-კაცთა მონდობილებით ჯ.-კაცი

**სოსო ნატროშვილი.**

მთავარი რედაქტორი: გრ. ვეშაპელი.
სარედაქციო კოლეგია.

---

ჩატარებდენ მაინც საკითხის გამო, მაგრამ ამის მაგიერ აბჰანდა კათალიკოს-პატრიარქი პატივცემული ლეონიდი, მომმართა მე და გამომიცხადა, რომ საეკლესიო კრებამ უკვე მიიღო გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ საეკლესიო ყველა განძეულობა ეკლესიებში დარჩეს და იქიდან არაფერი არ იყოს სხვა ადგილებში გადატანილი. თანაც დაუმატა, მართალია ნივთებს იპარავენ, მაგრამ ქურდობა ყოველგან ხდება. ამგვარ. მოპარესო! ამით დამთავრდა ამ საუბარზე ბაასი და მე გაცრუებული დავრჩი: მეგონა მიმიწვევს ბჭობისთვის ფრიად საჭირო და სავალალო საგნისა როგორც ეკლესიისა ისე მთელი ერისა, ორივის ძიების გამონახვის და [illegible] ზომის მიღებისათვის საეკლესიო განძეულობის დაცვისა. ამის მაგიერ გამომიცხადეს უკვე წინდაწინ მიღებული დადგენილება საეკლესიო კრებისა. რომელ კრებასაც კრების ხელმძღვანელს ეკადრება, საკითხი ჯერ გადასწყვიტოს და შემდეგ მოიწვიოს ვინმე, უბნობდეს უკვე გადაწყვეტილ საქმეზედ და ბოლოს უკვე წინდაწინ მიღებული ან ჩვენი გამოუცხადოს. რატომ ინება ეს საქმე, ეს ჩემთვის დღესაც გამოურკვეველია. მაგრამ ჩემი მოტყუებით მიწვევა კრებაზე არავისთვის საინტერესო არ არის, სავალალო მხოლოდ ის არის, რომ არავის არ უჩვენებია გზა, საშვალება ნივთების მოვლისა და დაცვისა, დარჩეს ისე როგორც არისო, ესე იგი ძველად უყურადღებოთ, ავაზაკთა საკაცებლად და გასანადგურებლად. ამას შემდეგ გაზეთ ,,კლდეში'' დაისტამბა ჩემს წინააღმდეგ ისპროვოკაციული წერილი, რომელიც ზემოთ მოვიხსენიე. ავტორი ამ წერილისა ,,მორწმუნე ქართველი'' უწოდებს თავის თავს, მაგრამ შიდა წყლის პროვოკატორია. ის ირწმუნება, რომ მე მტერი ვარ ქართულ ეკლესიისა, მტრული ნაბიჯი გადავდგი ქართულ ეკლესიის მიმართ, რომ მე მოუწოდებდი საეკლესიო კრებას ეკლესიის წმინდა ნივთების მთავრობის მუზეუმ სთვის ჩაბარებას (!), რომ მე ისტორიკოსი და ეროვნულ დემოკრატი თავგამოდებით ვიცავ ქართულ ეკლესიის გაძარცვას და განადგურებას თანახმად სოციალ ზრახვების და სხვა. ზემოთქმულის შემდეგ ყველა ამ სიცრუეს და პროვოკაციას პასუხი არ ესაჭიროება.

პროვოკატორმა კარგათ იცის, და თუ არ იცის უნდა იცოდეს, რომ სამღვდელოებას თავის მუზეუმი აქვს, და ამ მუზეუმში ნივთების გადმოტანა მიიღო თვით საკათალიკოსო საბჭომ. მე ვიცავ არა ეკლესიის გაძარცვას, არამედ მძარცველებისაგან გადარჩენას ნივთებისა სწორედ ეკლესიისათვის და მისი წარსული დიდების შესანარჩუნებლად და მეცნიერულის თვალსაზრისით ეროვნულ დემოკრატობა იმას არ ნიშნავს, რომ, თუ მთავრობამ თქვა ორჯერ ორი ოთხია, ჩვენ ვთქვათ ხუთიაო. ყოველ სასარგებლო საქმეში ჩვენ მთავრობასთან უნდა ვიყოთ და ვართ კიდეც; უამისოდ ჩვენ სახელმწიფოს ვერ შევქმნიდით. განა ჩვენ არ უჭერთ მხარს მთავრობას თავდაცვის საკითხში, სწავლა განათლების გავრცელებაში და სხვა ყველაფერში, რაც ქვეყნისთვის სასარგებლო არის. თუ მთავრობა თანახმაა მუზეუმში გადმოტანისა ხელნაწერებისა და სხვა საგნებისა, რომელიც კულტის საგანს არ შეადგენს, ამ შემთხვევაში მთავრობა უჭერს მხარს ჩვენს აზრს, ჩვენს მისწრაფებას და არა ჩვენ მას. საკვირველი ესაა, რომ აქ ავტორი გვისაყვედურებს, სოციალისტებს რათ უჭერ მხარსო. მეორე ადგილას იმას გვისაყვედურებს, სოციალისტებს რათ არ დაუჭირე მხარიო, როდესაც მათ განიზრახეს ვორონცოვის ძეგლის მოშლაო, ამ საგანზედ გაკვრით იყო ლაპარაკი ერთხელ სახელმწიფო კომისიაში და მე აქ კატეგორიულად ვაცხადებ იმას, რაც იქ ვთქვი: ჩემთვის ყოველი ისტორიული ძეგლის მოშლა ბარბაროსობაა და ვანდალიზმი. ვორონცოვი და მისი ძეგლი ისტორიას ეკუთვნის და არა პოლიტიკას. ჩვენ გვაშფოთებს, როდესაც ჩვენს ძეგლებს უცხოელები შლიან იმ ადგილებში, სადაც ეხლა ქართველობა აღარ სახლობს, და ჩვენ ასეთ საქმეს არ ჩავიდენთ. კომუნისტებსაც არ მოუშლიათ ალექსანდრე 3 ძეგლი პეტროგრადში და არ გაუნადგურებიათ ნიკოლოზ 2 ქანდაკება ანტაკოლსკისა ალექსანდრე 3 მუზეუმში. ეს სხვათა შორის. კიდევ იყო პროვოკაცია ,,მორწმუნე ქართველისა'' რომელსაც ბ-ნი გერასიმეც იმეორებს ეხლაც, რომ მე ნაციონალური მუზეუმის'' მართველი (?), როდესაც 1914 წ. რუსის მთავრობა შეშინებული ოსმალების შემოსევისა თბილისიდან გაქცევას აპირებდა, ვამზადებდი ყუთებს რათა ქართული ისტორიის და ერის განძეულობა მეკრა რუსეთისაკენ შესანახად.

საქმე კი ასე იყო: როდესაც ომი დაიწყო, ორი ჩვენი მუზეუმი საქ. საისტ. და საეთნ. საზოგადოებისა და ქარ. შ. წ. კ. გ. საზოგადოებისა მოთავსებული იყო სათავად-აზნაურო სკოლის შენობაში, იქ, სადაც ეხლაც არის. ამ შენობაშივე მაშინ მოათავსეს ორი დიდი სავადმყოფო, ერთი ქვემო სართულში ქალაქმა, მეორე თავად აზნაურობამ ზემო სართულში. აუარებელი ხალხი ირეოდა შენობაში. ჩვენ ვთხოვეთ ქალაქისაგან და თავად-აზნაურობისაგანაც, არ მოეწყოთ სავადმყოფოები ამ შენობაში, მაგრამ ვერაფერს გავხდით. მუზეუმები საშიშარ მდგომარეობაში ჩავარდა. ჩვენ თადარიგი მივიღეთ, ყუთები დავამზადეთ, ზოგიერთი ნივთები ჩავალაგეთ და მზათ ვიყავით, უფრო უშიშარ ბინაზედ გადაგვეტანა, თუ გარემოება მოითხოვდა. ასე მოიქცა წ. კ. საზოგადოებაც ჩვენის წინადადებით. ეს იყო ბევრათ ადრე, ვიდრე თბილისში თათრების მოლოდინით შიშიანობა შეიქმნა. სხვა ამ სიფრთხილეს პლიუსში ჩაგვითვლიდა, მაგრამ პროვოკატორები რის პროვოკატორები არიან, თუ მადლი მატლად არ შესცვალეს. შემდეგ, როდესაც ,,პანიკა'' შექნა და მთავრობამ თავად აზნაურთა წინამძღოლის პირით გამოგვიცხადა, თათრები მოვლენ, თავს უშველეთო, ჩვენ შევკრიბეთ საბჭოები საისტორიო და წერა კითხვის საზოგადოებებისა. საერთო სხდომებზედ გამოვიმუშავეთ ერთგვარი გეგმა მუზეუმის დაცვისა. ამ გეგმას კონსპირატიული ხასიათი ჰქონდა. მისი სისრულეში მოყვანა სამ კაცს ევალებოდა (იხ. საქ. საისტ. და საეთნ. საზოგ. ოქმები №№ 101, 103 და 104) აქ რუსეთში გადატანაზედ სიტყვაც არ არის ნათქვამი, კიდევაც რომ მოგვენდომებინა, წაღება შეუძლებელი იყო: ტრანსპორტი მთავრობის დაწესებულებათათვისაც არ იყო საკმაო. ხოლო საეკლესიო მუზეუმის კომიტეტს, როგორც სახელმწიფო დაწესებულებას (ეგზარხოსს ექვემდებარებოდა), მოუვიდა წინადადება სინოდის კანტორისაგან, მოემზადებინა ნივთები რუსეთში წასაღებათ, თანახმად მთავრობის განკარგულებისა. აქ, კრებაზე ქართველ წევრთა შორის სხვა და სხვა აზრი გამოითქვა. უმეტესობა იმ აზრისა იყო, ნუ დავანებებთ წაღებას, აქ შევინახოთო, ზოგი კი რუსეთში წაღებას ამჯობინებდა და ამაში ხედავდა უკეთეს საშვალებას მუზეუმის გადარჩენისა, თუ მართლა თათრის ბრბოები შემოგვესეოდენ. დიახ, მეც ამ გატანას ვაძლევდი უპირატესობას და იმ დროისათვის ეს საუკეთესოდ მიმაჩნდა, მაშინ შიდა რუსეთში მშვიდობიანობა იყო, რევოლიუცია ხომ 1917 წ. დაიწყო, სომხებმა თავის მუზეუმი ეჩმიაძინიდან მოსკოვში გაიტანეს, პოლონელებმა და სხვებმაც განაპირა ქვეყნებიდან შიდა რუსეთში გადაზიდეს განძეულობა. იმ გეგმის განხორციელება, რომელიც ჩვენ გვქონდა განძრახული სხვა ორ მუზეუმების შესახებ, შეუძლებელი იქნებოდა, თუ მას საეკლესიო მუზეუმსაც მიუმატებდით. თვით ჩვენი კონსპირატიული გეგმაც საეჭვოთ იყო და სახიფათოც, და არ იძლეოდა ისეთ გარანტიას დაცვისათვის, როგორიც ევაკუაცია. ამას გარდა ჩემთვის ცხადი იყო, რომ ჩვენს სხვა გეგმას არ დასთანხმდებოდა სინოდ. კანტორა და მთავრობა, მაგრამ მე არა მაქვს ჩვეულება, საკოლეგიო საქმეში უმეტესის გადაწყვეტილებას ანგარიში არ გაუწიო, ჩემი აზრი გამოვთქვი მხოლოდ ქართველ წევრებთა შორის და ოფიციალურ კრებაზე, რომელსაც კონტორის ობერ პროკურორი დაესწრო, არც გამიცხადებია. წარუდგინეთ აზრი სინ. კანტორას, რომ საეკლესიო მუზეუმის დაცვა სამს კომიტეტის წევრს უნდა დავალებოდა და რა ზომას მიიღებდენ ისინი, ეს მათი საიდუმლოება იქნებოდა, კონსპირაციის საგანს შეადგენდა, ესე იგი მივიღეთ ის გეგმა, რაც სხვა ორი მუზეუმისთვის გვქონდა მიღებული. სამ ადამიანთა შორის, რომელსაც ეს საქმე ევალებოდა, ერთი მეც ვიყავი. რასაკვირველია, ეს გეგმა არ მიიღო სინოდალურმა კანტორამ და მისმა პროკურორმა და თუ საეკლესიო მუზეუმი წაუღებელი დარჩა ამის მიზეზი უტრანსპორტობა იყო. გუბერნატორმა განაცხადა, ჩვენ შევიძლია ორი-სამი ფუთის წაღება და არა ორასისო. ამავე მიზეზით დარჩა სრულიად გაუზიდავი ყოფილი კავკასიის მუზეუმიც. ამასობაში თათრები უკუმოქციეს, მშვიდობიანობა ჩამოვარდა და საკითხი თავის თავად მოისპო. მე მინდა ეხლაც მივსცე საბაბი პროვოკატორებს და განვაცხადო: მსგავსი მოლოდინისათვის მე ეხლაც უმჯობესად ვთვლი უცხოეთში წავიღოთ განძეულობა, ვიდრე თავს ვიდვათ ,,რისკი'' მათი განადგურებისა. როდესაც გერმანელები დაემუქრნენ პარიჟს, ფრანგებმა ლუვრის ნივთები ბორდოში გადიტანეს და ბორდოს რომ დამუქრებოდენ ან ინგლისში წაიღებდენ ან ამერიკაში. ყველამ ვიცით, რა ბედი ეწვია ლუვენის წიგნთსაცავს ამ ომიანობის დროს. წინაამდეგნი რუსეთში ნივთების გატანისა იმას კი უარს არ ყოფდენ, რომ ამით უფრო გადარჩება ნივთები ხიფათს, არამედ ამტკიცებდნენ, რომ შემდეგ ნივთებს რუსები აღარ დაგვიბრუნებენო. ეგ შიშიც შესაძლებლად მიმაჩნდა. მართლა, არა ერთი მაგალითი ყოფილა, რომ დროებით წაღებული ნივთი მთავრობამ საქართველოში აღარ დააბრუნა. მაგრამ მე ვამბობდი: უმჯობესია სხვას ჰქონდეს ხელში და შეინახოს მეცნიერებისათვის, ვიდრე განადგურდეს და სრულიად მოისპოს. უძველესი ხელნაწერები და პირველ ხარისხოვანი ნივთები ქართული კულტურისა ჩვენ ხელთ არ არის, დაცულია ათონის მთაზედ, იერუსალიმში, სინას მთაზედ, რომში, პარიზში, ბერლინში, ლონდონში, პეტროგრადში, მოსკოვში და სხვა ადგილებში და მათმა შესწავლამ შეუდარებელი სამსახური გაუწია ქართულ ისტორიას და კულტურის შესწავლას. ქართული ნივთი, სადაც არ უნდა იყოს, ქართული ხელოვნების და კულტურის ნივთად დარჩება. ჩვენ ყოველი ღონე უნდა მივიღოთ, ეს ნივთები აქ საქართველოში გვქონდეს და ვღებულობთ კიდეც. არა ერთი ნივთი დაგვიბრუნებია უკვე წაღებული უცხოეთში და გვიყიდია გამზადებული უცხოეთში გასაზიდავათ, მაგრამ თუ არჩევანზე მიდგა საქმე, განადგურებას და მოსპობას ის გვირჩევნია უცხოელების ხელთ დარჩეს, ხოლო ქართულ კულტურას და მეცნიერებას არ დაეკარგოს.

მუზეუმის მტრები ამტკიცებენ, რომ ნივთები უკეთ არის დაცული და შენახული ეკლესია-მონასტრებში, უხსოვარის დროიდან იქ ინახებოდა და ეხლაც იქ უკეთ შეინახებაო.

(შემდეგი იქნება)

**ექვთიმე თაყაიშვილი.**

---

მაღაზია
სიმენს შუკერტი.
რუსთაველის პროსპ. №21.
მიღებულია ეკონომიური ელექტრონის შუშები 220 და 110 ვოლტიანი, სხვა და სხვა ძალის სინათლის.

შემთხვევით.
იყიდება შკაფი ბუფეტის, სასადილო და ლომბერის და სხვ. მაგიდები, სკამები, შკაფები, ლიუსტრა ელექტრონის, ეტაჟერკა, პირის საბანი, წიგნები ლამაზი ნოხი თავრიზი 16 კვადრატიულ არშინის, ლიმონის ხე და არეუკარიასამეროპსი.—
3 კომისარიატი ამაღლების ქუჩა, №33 ზედა სართული, ნახვა შეიძლება 12 საათიდან—5—დის.
3485. 4—1

სახლი
მამული, აგარაკი
გაყიდვა—ყიდვა,
აქვს დიდი კლიენტურა, დავითის ქუჩა, № 3, ბინა 2, გოლოვინის პრ. ახლო.
,,ინტელიგენტთა ჯგუფი''.
3486. 4—1.

ექიმი
რეზო მაჩაბელი
კანისა და ვენერიული სნეულებანი (წამლობა ახალი და ძველი სისტემით) სიფილისი (606—914 შეშხაპუნება) ავადმყოფებს იღებს კაცებს 9—12 საათ. დილ. და 6—8 ს. სად. ქალებს 12—1 ს. დღის, 5—6 მოსკოვის ქუჩა № 4. ზემელის აფთიაქის პირდაპირ. 3268

ყოფილი 1 კავკასიის კორპუსის სამხედრო ბეითალი-ექიმი
ი. გ. ქუთათელაძე
იღებს შინაგან, კანით (ქეცით) ავადმყოფ ოთხფეხ პირუტყვებს და ფრინველებს. ცხენის ქოთაოს (საპს) ვიკვლევ მალეინის შეშხაპუნებით. ჭიით ცხვრის სასულე—მილას ავათმყოფობას ვექიმობ ,,ნეიმანის და ვესსელის'' მეთოდებით. ვიძლევი დარიგებას ,,ზოოტეხნიაზე'' (საქონლის მოვლა-მოშენება). დილის 9—10 საათ. და დღის 3—5 ს. ბელინსკის ქუჩა № 39, ბინა 2

ექიმი
ა. ს. ჯავრიშვილი
სიფილისი (606—914 შეშხაპუნება), კანისა, ვენერიული და საშარდო ორგანოს სნეულებანი. იღებს ავადმყოფებს 8—9 ს. დილით და 5—7 ს. საღამოთი. ოლღას ქუჩა, № 3, მელიქ-აზარიანცის სახლი. 3

ექიმი
ე. ი. კალანდაძე.
ღებულობს შინაგან სნეულებათა ავადმყოფებს დღის 8—12 ს. ვენერიულ)-სიფილისი (შეშხაპუნება 606 და 914. და საშარდე ორგანოთა სად. 5—7 ს. გუნიბის ქ № 6, მოსკოვის ქუჩ. კუთხე ზემელის აფთიაქთან.
ტელეფ. 18—95. 3228

ბათომი
ექიმი
ალ. ალ-ძე თუმანიშვილი
დაბრუნდა ძველ ბინაზე (სვიატოპოლკ-მირსკის ქ. № 31) და შეუდგა შინაგან და ნერვებით ავადმყოფების მიღებას.
3456

კბილის ექიმი
ნიკოლოზ თეიმურაზის ძე
ხორავა
ჩამოვიდა მოსკოვიდან და იღებს კბილით ავადმყოფებს ყოველ დღე გარდა კვირა უქმეებისა დილით 10—2 საათ. და საღამოობით 4—7 საათამდე. ვერის დაღმართი (ოლღას ქუჩის კუთხეზე) სახლი № 1. მელიქ აზარიანცის ბინა № 20 ზემელის აფთიაქის პირდაპირ.

ექიმი
დ. ი. ჯაფარიძე
შინაგან, კისრის, ცხვირის და ყურის ავადმყოფობის.
ავადმყოფების მიღება დილის 12—1 ნახ. საათამდე, მადატოვის ქუჩა № 7, ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ.